№ 2912
სამშაბათი,
20 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2912
სამშაბათი
20 სექტემბერი

[illegible]: [illegible]—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—5 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ღრმად შეწუხებულნი გოგოლია, პართენ და გიტო გოთუები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას უძვირფასესის პირველი ქმრისა, მეორენი მამის

ალექსანდრე გიტოს ძის გოთუასას.

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 20 სექტემბერს, ძიმითის ეკკლესიის გალავანში.

ელისაბედ ნიკოლოზის ასული, გრიგოლ და დავით პეტრეს ძე ამირაჯიბები, გიორგი და ალექსანდრე პავლეს ძე პავლიაშვილები გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობებს უდროვოდ გარდაცვალებას—პირველი ძვირფასის შვილისა, მეორენი—ძმისა და მესამენი—ბიძაშვილის

ალექსანდრე პეტრეს ძის ამირაჯიბისას

პანაშვიდი გადახდილ იქმნება მიხეილის საავადმყოფოს ნიშში, დღეს, საღამოს 6½ საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს, 21 ენკენისთვეს, ნიშიდან ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში და დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (1—1)

ქვრივი ხანა მიხეილის ასული ზალდასტანიშვილისა, კოტე (ნიკო) სოლომონის ძე ზალდასტანიშვილი და ელისაბედ თევდორეს ასული ყულიმბეგოვისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველი ქმრისა, მეორე ბიძაშვილისა და მესამე სიძის ყვირილაში მყოფ ტოვარნი კასსირის

გიორგი შარმაზანის ძის ზალდასტანიშვილისა.

მიცვალებულს გამოასვენებენ ტფ. რკინის გზის ვაგზლიდან 20 სექტემბერს დილის ათის ნახევარზე კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში, სადაც დასაფლავებულ იქნება. (1—1)

Открыта подписка на ежедневную Общественно-Политическую и Литературную газету

„ВОЗРОЖДЕНІЕ"

1-Й № ВЫЙДЕТЪ 1-ГО ОКТЯБРЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА	НА ГОДЪ	на ½ г.	на ¼ г.	на 1 мѣс.
для горогскихъ подписчиковъ съ доставкою	6 р.	3 р.	1 р. 50 к.	50 к.
для иногороднихъ подписчиковъ съ пересылкою	7 р.	3 р. 50 к.	1 р. 75 к.	60 к.

Подписка принимается въ конторѣ газеты „ВОЗРОЖДЕНІЕ" Тифлисъ, Головинскій пр. домъ бр. Зубаловыхъ (входъ съ Давидовской ул.).

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

За строку петита впереди текста . . . . 10 к.
„ „ „ позади . . . . 5 к.

Съ января 1906 г. „ВОЗРОЖДЕНІЕ" будетъ выходить съ ежедневнымъ иллюстрированнымъ приложеніемъ (съ каррикатурами), причемъ оба изданія будутъ стоить 10 руб.

Редакторъ П. А. ГОТУА.
(3—у.—2) Редакторъ-Издатель кн. П. І. ТУМАНОВЪ.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მიერ დამტკიცებული

კურსები უცხო ენებისა

Ecole de langues modernes

15 სექტემბრიდან ქ. ტფილისში არსდება ორისავე სქესის **მოზრდილთა და ბავშვთათვის** უცხო ენების კურსები **ახალ ტიპისა**, ეგრედ წოდებულ სწავლების საერთო სისტემით; მოწაფე ყოველ გაკვეთილს სწავლობს ორ მასწავლებელთან; ყოველი გაკვეთილი გასტანს 90 წუთს, 10 წუთის შესვენებით.

მასწავლებელნი: ფრანგული ენისა,—დე სენტ-მარი, დე მარკურ, პალტარაცკისა; ინგლისურისა,—იული დაულინგი; გერმანულისა—კურსების დამაარსებელნი შლომერი, დაიხესი.

მეცადინეობა კურსებზე დილის 10-დან საღამოს 10 საათამდე.

ჩასაწერად და დაწვრილებით ცნობებისთვის მსურველმა უნდა მიჰმართოს კურსების სადგომში დილის 12—2 და საღამოს 5—8 საათზე. სუდებნი ქუჩა ს. № 44.

დამაარსებელნი: ე. დაიხესი და გ. შლომერი.

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მეიდანზე, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესაში, დაიყიდება ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **იმაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც ასეთ გაყიდვის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**

საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა. სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—105)

სამინისტრო

ვაჟთა პროგიმნაზია

(ავლაბარი რაზმთა მოედანი, ნუნუფარაშვილის სახ.)

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დანიშნულია:

23 ენკენისთვეს მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში,

24—მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში,

27, 28 და 29—I და II კლასებში. ეგზამენები დაიწყება დილის 8 საათზე. 30 ენკენისთვეს, პარაკლისის შემდეგ, დაიწყება სწავლა. (1—1)

გამგეობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ამით აუწყებს წევრთ, რომ წლიური კრება ამ ამხანაგობისა დანიშნულია 23 სექტემბრისათვის. კრების განსახილველი საგნებია: 1) განხილვა და დამტკიცება მიმდინარე წლის ანგარიშისა; 2) გათვალისწინება ამხანაგობის დღევანდელ და მომავალ მდგომარეობისა; 3) არჩევნები გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა. უკეთუ ეს პირველი კრება არ შესდგა, მეორე კრება მოხდება 23 ოქტომბრისათვის, დღით კვირას, დილის ათ საათზე, ს. კუბ-

სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით ელისავეტინსკაია ქუჩა,
101, ტელ. 1026

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ივიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვის ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და

სენაკის მაზრის, სოფელ მარტვილის მცხოვრებნი და დ. ნოღალევის მოვაჭრენი საყოველთაოდ აცხადებენ, რომ 15 ამ წლის სექტემბრიდან ყოველ ხუთშაბათ-პარასკეობით დაბა

ნოღალევში მუდმივად დაარსდა ბაზრობა,

სადაც გაიყიდება ყოველ-გვარი პირუტყვი და ადგილობრივი ნაწარმოები და ამისათვის სთხოვენ პატივცემულ საზოგადოებას, მყიდველთ და გამყიდველთ, იქონიონ მსვლელობა ბაზრობაზედ. (10—6.—8)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (წ.)

მედიცინის დოქტორი

მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან 11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1, ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 7111. (50—368—3)

ექიმი

მ. დ. კილოსანიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 საათ. და საღამოობით 5—6 ს. კოჩუბეევის ქუჩ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—5)

კბილის ექიმი

იოანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლაევსკისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოით 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და ლიუთერ მთავრის ქუჩებისა სახლი [illegible] № 16.

ექიმი

დ. გედევანიშვილი.

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.

ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვისა. (თვ.—328—20).

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (80—11)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.

ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (80—20)

გურიაში

(დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი)

III

დრო-გამოშვებით გურიაში ამ ჟამად იმართება მიტინგები, რომელშიაც მონაწილეობას იღებს რამდენიმე სოფელი ან სოფლის საზოგადოება. 21 აგვისტოს, მაგალითად, მოხდა დიდი მიტინგი სოფელ საყვავის-ტყის საზღვარზე საჯევახოს მხრით. ამგვარი მიტინგის გამართვის შესახებ გავრცელდა ოთხი-ხუთი დღის წინ; ხოლო ადგილი, სადაც მიტინგი უნდა მომხდარიყო, აღნიშნეს მხოლოდ ერთის დღის წინ. მოძრაობის მეთაურნი ეხლაც ისე ფრთხილად მოქმედობენ, როგორც წინად, როცა საიდუმლოდ უნდა ემოქმედნათ. დანიშნულ დღეს დილიდანვე იწყო ხალხმა მოგროვება. მოდიოდენ სურებიდან, ხევიდან, ჯვარცმიდან, ჩოხატაურიდან, საჯევახოდან და სხვა. წესიერება მშვენივრად იყო დაცული, თუმცა არც მთავრობის მხრით, არც ხალხისაგან არ ყოფილა დაყენებული დარაჯები. მიტინგში ყველა წოდებანი იღებდნენ მონაწილეობას, სამღვდელოებაც იყო. ყველაზე უფრო ადრე მიტინგზე სურებლები მოვიდნენ; იყვნენ ზემო-სურებიდანაც, სადამდე საყვავის ტყიდან 45 ვერსტია. ორსავე სურებში 400 კომლი მცხოვრებია. ერთის სურებელის სიტყვით, სახლებში მხოლოდ უძლური ბებრები დარჩნენ, დანარჩენები-კი მარსელიეზისა და სახალხო სიმღერებით გაემართნენ მიტინგზედ. სურებიდან კაცებთან ერთად ყოჩაღად მოდიოდნენ ქალებიც. უნდა გითხრათ, რომ 20—25 წლის წინად სურები ძალიან ჩამორჩენილი კუთხე იყო და იქაურებზე ბევრი ანეგდოტები იყო გავრცელებული გურიაში...

დაიწყო სიმღერა კაცებისა და ქალებისა. შუადღისას საკმაოდ მოზრდილი მინდორი ნახევრად აივსო ხალხით, ბევრი ახალგაზდა ხეებზე ავიდა. ქალები ქოლგებით, კარგად გამოწყობილნი ზოგი თეთრ ხელთათმანებში ამშვენიერებდნენ იქაურობას..

ერთ პიქას.. სიცხე იყო საშინელი, მაგრამ ხალხი მოთმინებით იდგა და მოელოდა მიტინგის დაწყებას. იდგა მაგიდა და ზედ უკვე ასულიყო ახალგაზდა ორატორი მუშის ლურჯ ბლუზაში. როგორც-კი დაიწყო ორატორმა ლაპარაკი, მაშინვე სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ვინც-კი ოდნავ დაარღვევდა სიჩუმეს, მაშინვე ყოველ მხრიდან ენერგიულ პროტესტს უცხადებდნენ. პირველმა ორატორმა აღნიშნა რუსეთის სარევოლიუციო მოძრაობის თანდათანი ზრდა: განიხილა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების უკანასკნელი ხანა და ბოლოს დროის ამბები, მათ შორის რუსეთ-იაპონიის ომიც. ორატორი ლაპარაკობდა დინჯად, მოკლე ფრაზებით და ცდილობდა მაღლა ელაპარაკნა, რათა ყველას გაეგონა. მისი ქართული სიტყვა იყო უბრალო და საკმაოდ მწყობრი. როგორც სჩანდა, ხალხს ბევრჯელ ჰქონდა გაგონილი და იცოდა კიდეც ყველაფერი, რასაც ორატორი ეუბნებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა ორატორმა ძლიერის სიტყვებით დაბოლოვა და „ძირს ძველი რეჟიმი"-ო სთქვა, ათასმა ხალხმა ერთხმად იგრიალა „ძირს"-ო!..

მეორე ორატორმა, რომელსაც აგრეთვე მუშის ბლუზა ეცვა, თავის სიტყვის პირველ ნახევარში გაიმეორა ის, რაც პირველმა სთქვა. მას ჰსურდა მსმენელთა გული მოეგო და რამდენჯერმე კიდეც მოახერხა ეს. მაგალითად, როცა სთქვა: „დედებო და დებო!, თქვენ მოგმართავთ, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საშინელი უბედურება და მწუხარება იმ ათას და ათიათას დედებისა, რომელნიც ცრემლებს აფრქვევენ მანჯურიაში უდანაშაულოდ დახოცილ შვილებისათვის—სულ თქვენი ძმებისათვის"-ო, მაშინვე ხალხში მოისმა ქვითინი და მუქარა იმათ წინააღმდეგ, ვინც დამნაშავედ დაუსახეს ხალხს. მეორე ორატორის სიტყვაში ახალი იყო სახელმწიფო სათათბიროს და კავკასიის ნამესტნიკის მოღვაწეობის დახასიათება. სახელმწიფო სათათბირო ორატორმა მავნე დაწესებულებად აღიარა, თუმცა დაუმატა: ეს პირადათ ჩემი აზრია და არ ვიცი, რას იტყვის ამაზე ცენტრალური კომიტეტიო. მთავარი ნაკლულევანება სათათბიროსი, ორატორის აზრით, ის არის, რომ იმის კარები დახშულია მშრომელთათვის, მათთან საბრძოლველადაა დაარსებული და არა მათ სასარგებლოდო. რაც შეეხება ნამესტნიკის მოღვაწეობას, ორატორმა იგი სასტიკად დაჰგმო, რითაც დამსწრეთა საერთო მოწონება დაიმსახურა. თვით ნამესტნიკობის დაარსება ორატორმა ახსნა იმით, რომ „მთავრობას პეტერბურგიდან ვერ გასწვდა კავკასიელთ" და არა იმით, რომ კავკასიაზე ზრუნვა ჰქონდეს სახეში მთავრობასაო. ამის დასამტკიცებლად ის მოიყვანა, რომ ნამესტნიკთან დაარსეს ცალკე საპოლიციო დეპარტამენტი, რაზედაც 1 მილიონი გადასდესო. ნამესტნიკის დანარჩენი რეფორმებიც ასე იყო დახასიათებული; ერობა აღიარა სრულიად უსარგებლო დაწესებულებად, რომელიც ხალხის მოსატყუებლად არის განზრახული, რადგან თვით-მართველობის დამახინჯება იქნებაო. სასტიკ კრიტიკის ცეცხლში გაატარა ორატორმა სხვა მიმართულებანი, ნაციონალ ფედერალისტებისა და ავტონომისტების. ამ მიმართულებათა დაფასებაში ორატორმა ნათლად გამოამჟღავნა თავისი პარტიული ცალმხრივობა. თავის პარტიის აზრებით იმდენად იყო გატაცებული, რომ, თუმცა თვითონაც ქართველი იყო, მაინც არა-თუ რუს სოციალ-დემოკრატად სახავდა თავის თავს, არამედ თავის პოლიტიკურ მოღვრების საფუძვლად აღიარებდა ყოველგვარ ნაციონალურ ელემენტის უარყოფას. შემდეგში გადმომცეს, რომ მიტინგის გამმართველებმა ლაპარაკის ნება არ მისცეს ერთ სხვაფრივ მოაზრეს, თუმცა ისიც იმათ პარტიას ეკუთვნოდა. ეჭვს გარეშეა, რომ გურიაში ასეთი ცენზურა მართლა ჰსუფევს..

თავისი სიტყვის ბოლო ორატორმა შეამოკლა, რადგან ხალხს მოუთმენლობა დაეტყო, საღლაც წასვლას აპირებდა. ორატორი უხსნიდა ხალხს რა არის რევოლიუცია, განუმარტა, რას უნდა მოელოდეს ხალხი ამ რევოლიუციისაგან. ორატორმა გამოაცხადა, რევოლიუცია დაიწყოო: „მართალია ჩვენ, გურულები, მშვიდობიანობით ვსარგებლობთ, თავისუფლები ვართ, როგორც ხედავთ, უკვე სიტყვის თავისუფლება გვაქვს მოპოებული, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სხვაგან საქმე ისე არ არის: იქ ახლა სისხლი იღვ-

ყუროთ ჩვენი ძმების ტანჯვა-წვალებას. როცა ამას საჭიროება მოითხოვს, ჩვენ ყველანი გამოვალთ, როგორც ერთი კაცი, საზოგადო საქმეში მონაწილეობას მივიღებთ და ახე უწყალოდ ტყვია მივაგებებით იმათ, ვინც გზას გადაგვიღობავს". ეს რომ სთქვა, ორატორმა მაღლა ჰაერში რევოლვერი გაისროლა. პასუხად გაისმა თოფებისა და რევოლვერების გრიალი. ეს მოწინავე რაზმის მოქმედება იყო.

სანამ მეორე ორატორი ლაპარაკობდა, სხვა და სხვა სოფლებიდან მოდიოდა შეიარაღებული ხალხი: ზოგი ხანჯლით, ზოგი რევოლვერით და ზოგიც ჯოხით. მოვიდა ორი რაზმიც ორასამდე ბერდანის თოფით შეიარაღებული. მღეროდნენ ქართულად მარსელიეზას, აფრიალებდნენ წითელ დროშებს, იძახოდნენ სოციალ დემოკრატიულ ლოზუნგებს ქართულად, რუსულად და ერთ შემთხვევაშიაც სომხურადაც, თუმც ეს ენა აქ არავის არ გაეგება. თოფებისა და რევოლვერების სროლის გამო პირველად მცირე აღიაქოთი ასტყდა. ერთი მხედრის ცხენი დაფრთხა და აქეთ-იქით მივარდ-მოვარდნა იწყო. ხალხი აირია და ერთმანეთს აწყდებოდა. მოითხოვეს დაუყოვნებლივ მოესპოთ სროლა. უბედურება არაფერი მომხდარა. როცა ხალხი დამშვიდდა, ორატორმა წინადადებით მიმართა ხალხს, ჩვენი გრძნობის გამოსაცხადებლად დაბა ჩოხატაურისაკენ გავემართოთ დემონსტრაციითაო. ხუთი ათასამდე კაცი იყო თავმოყრილი. ბევრნი შინ დაბრუნდნენ, უმრავლესობა კი ჩოხატაურისაკენ გაემართა იმავე წესით, როგორც შეიკრიბა სოფელ-სოფელ, მარსელიეზის მღერითა და აფრიალებულ დროშებით. გზა-ტკეცილამდის ერთი ვერსტი უნდა გაევლოთ, შემდეგ კი გზა-ტკეცილით შვიდი ვერსტი ხსენებულ დაბამდის. დამსწრეთა სიტყვით, დემონსტრანტებს გზაზე მრავალი ხალხი შეუერთდა და სულ შვიდ ათასამდე შედგა. გზა-ტკეცილი [illegible] ვერსტის სიგძეზე სულ დაფარული იყო ხალხით. ჩოხატაურში მთავრობის ყველა დაწესებულებისაგან მხოლოდ საავადმყოფო და ფოსტა მოქმედებს, რომელსაც რამდენიმე დარაჯი იცავს. სასამართლო, პოლიცია, აქციზი და სხვა დაწესებულებანი ძალა-უნებურად უქმად არიან.

კვირა დღე იყო, ამ დროს ვაჭრობა დილის ცხრა საათიდან ისპობა მთელის დღით. მედუქნეები მიეშურებოდნენ დემონსტრანტებთან შესაერთებლად. ბოქაულს მეთაურებმა კაცი გაუგზავნეს და გააფრთხილეს, სახლიდან ნუ გამოხვალ, თორემ რამე უბედურება დატრიალდებაო. შემდეგ გვიამბეს, ბოქაულს ძალიან ეშინოდა, ძალა არ დამატანიან და წითელი დროშით არ წამიძღვარონ წინაო. ხალხი მიუახლოვდა ხიდს მდინარე სუფსაზე, გაისროლა იქ თოფები და დაიშალა. დამსწრეთა სიტყვით, დემონსტრაცია დიდებული იყო: თითქმის არავინ ყოფილა მაყურებლადაო. ზოგიერთები, მეტადრე ქალები, დაიღალნენ სიცხეში ხანგრძლივ სიარულისაგან. ზოგმა თუთხმეტი ვერსტი გაიარა, უმრავლესობამ კი ოცდახუთი, ოცდაათი და ორმოცი ვერსტი.

დემონსტრაციამ განუმტკიცა ხალხს რწმენა, როგორცა სჩანს, ხალხი მზადაა განიმეოროს დემონსტრაცია იარაღით და გაემართოს ჩოხატაურზე უფრო საშიშარ რომელიმე ადგილისაკენ.

ჩემ მიერ მოკლედ მოთხრობილი ნამდვილი ამბავი გურიის ცხოვრებიდან მთელი რუსეთის მოძრაობის მკვიდრი ნაყოფია. აქ არაფერია სეპარატისტული, ადგილობრივ ნაციონალური. მოძრაობით გატაცებულ გურულებს ფანატიკურად სწამთ, რომ გაიმარჯვებენ საბოლოოდ, როგორც თვითონ ამბობენ, რუსეთის ხალხის შემწეობით, მშრომელ მუშა ხალხის მონაწილეობით და ელიან თავის ხვედრს.

ადგილობრივმა მოღვაწეებმა კარგად იციან, რომ შესაძლებელია განადგურებულ იქნან ჯარების მიერ, მაგრამ სრულებით არ უფრთხიან ამას.

„თუ დავმარცხდებით და დავიღუპებით, მითხრა ერთმა მათგანმა, სჩანს ჩვენი გზაც ასეთი ყოფილა. გაუმარჯოს ჩვენ დამარცხებას, რადგან ჩვენი სიკვდილი და დანთხეული სისხლი ჩვენი საბოლოო გამარჯვების მომასწავებელიაო!" მოახლოვებულია ის დღე, როცა გურულების ბედი გადაწყდება, მხოლოდ არ ვიცით—როგორ: მშვიდობიანად, მთელი რუსეთისა და მაშასადამე ამიერ-კავკასიისა და პაწია გურიისათვის ვრცელ ძირითად რეფორმების მინიჭებით, თუ სი-

ორპოფი მოქმედების ხანა, როგორც სჩანს, წასულია. რაც ჩემის თვალით ვნახე, მაიძულებს გულ-ახდილად საჯაროდ გამოვაცხადო, რომ საეჭვოა იყოს რაიმე მესამე გზა. არა მარტო გურულების ცალკე დასებში, არამედ მთელ გურულ ხალხში და ამ ხალხის გაუნათლებელ, უვიც ნაწილში ძლიერ გაღვიძებულია თავისი უფლების პოლიტიკური შეგნება.

ის, რაც გურიაში ხდება, მეტ-ნაკლებად თავს იჩენს ამიერ-კავკასიის უმრავლეს ადგილებშიაც. **პროფესორი ნ. მარრი.**

ახალი ამბავი

◆ სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, შინაგან საქმეთა მინისტრს შეუდგენია მოხსენება კავკასიაში **სახელმწიფო სათათბიროს** წევრთა არჩევის შესახებ. ამ მოხსენების განხილვას გრაფ სოლსკის კომისია 15 სექტემბრიდან უნდა შესდგომოდა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავკასიაში სხვა და სხვა საქმეებისთვის ჩამოვა მინისტრთა კომიტეტის საქმეთა გამგე ბარონი ნოლდე. გაზეთების სიტყვით, როდესაც ნოლდე უკან დაბრუნდება, პეტერბურგში მთავარ-მართებლად ნამყოფის თავ. გოლიცინის მონაწილეობით კრება მოხდება. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი კავკასიაში წესების აღსადგენად **სასტიკ ზომების** მიღების შესახებ.

◆ **ბათუმიდან გვატყობინებენ:** როგორც ხმა დადის, აქ პოლიციას უნახავს 18 ყუმბარა, დინამიტი და 7 ფუთი პატრონი.

◆ ჯევანშირის მაზრაში, როგორც გვატყობინებენ, **პოლიციას უნახავს ხუთი ყუმბარა.**

◆ როგორც ვიცით, ბაქოში სხვა ნავთის მწარმოებლებთან ერთად დაზარალდა ნობელიც. „ნ. ქ.“-ს სიტყვით, ნობელს საჩივარი აღუძრავს ზარალის შესახებ. **ნობელი დიდძალ ფულს ედავება რუსეთის მთავრობას.**

◆ დღეს, 20 სექტემბერს, ქუთაისსა და თელავში **დაიწყება სამღვდელოების კრებები.** კრებებმა უნდა განიხილონ საკითხი სასულიერო სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ.

◆ **ნუხის და შუშის მცხოვრებთ** შუამდგომლობა აღუძრავთ, ამ ქალაქებში კიდევ გაიგზავნოს ჯარი, რადგან სომხებისა და თათრების შეტაკების შიში აქვთ.

◆ 17 სექტემბერს **ბათუმში ზღვით** მოსულა 600 სალდათი და მოუტანიათ მე-33 ბრიგადის ზარბაზნები.

◆ ფოთიდან ახალ-სენაკში 18 სექტემბერს გაიგზავნა მესამე ბატალიონი ხერსონის პოლკის.

◆ 18 სექტემბერს **სამტრედიას ბათუმიდან გაიგზავნა** სამი როტა ხერსონის პოლკისა—660 სალდათი და 12 ოფიცერი.

◆ 19 სექტემბერს **ქუთაის ჩავიდა ბათუმიდან** ორი ბატარეა 16 ზარბაზნით.

◆ **ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეები,** როგორც უკვე ვიცით, დასთანხმდნენ სწავლა დაეწყოთ 17 სექტემბრიდან, თუ მოსწავლეთა მოთხოვნების რამდენსამე მუხლს მაინც აასრულებდნენ. მოსწავლეებმა ეხლა ხელ-ახლა გაანებეს სწავლას თავი. გუშინ-წინ მოხდა სემინარიის გამგეობის სხდომა. გამგეობა ორად გაიყო. უმრავლესობა ამბობდა, სემინარიელნი სულ უნდა დავითხოვოთ და მერე სწავლა დავიწყოთ იმათთან, ვინც თანხმობას განაცხადებსო. უმცირესობა—ერთი თვით დავკეტოთ სემინარია, შევიმუშაოთ ახალი წესი, გაზეთებში დავბეჭდოთ და შემდეგ სწავლა დავიწყოთ იმათთან, ვინც თანახმა იქნებაო. გუშინ ეგზარხოსი ნამესტნიკთან იყო.

◆ გუშინ, ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა დღეიდან სრულიად **დაიკეტოს ხორცის დუქნები.** ამ რიგად ქალაქის დუქნებზედ დახარჯული 90,000 მან. გაჰქრა შარშანდელ თოვლივით.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა აცნობა ტფ. **საბაღოსნო სკოლის გამგეს,** რომ ამ სკოლაში კარგად სწავლა დამთავრებულთ შეუძლიანთ საშუალო სამეურნეო სასწავლებელში შესვლაო.

◆ გურია-სამეგრელოს ეპარქიის ბლაღოჩინის თ. ხოშტარიის **კანცელარიას ცეცხლი წაჰკიდებია** და ქაღალდები გადამწვარა.

◆ ფოთში სამხედრო სასამართლოს განუხილავს კუპრეიშვილის საქმე და **გადაუწყვეტია იმისთვის ჩამოხრჩობა.** კუპრეიშვილს ჰბრალდებოდა ყვირილაში მილაზიაზე თავდასხმა. ნამესტნიკს ჩამოხრჩობა 20 წლის კატორგად შეუცვლია.

◆ **ლეჩხუმის მაზრის უფროსად,** როგორც გავიგეთ, ინიშნება ნამესტნიკის კანცელარიის მოხელე პაშკოვსკი.

◆ ბაღდადის ტყის მცველს შეუტყობინებია ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა გამგისათვის, რომ **ხალხმა მთლად გაკაფა სახელმწიფო ტყე** და თითონ უძლურია თავის ძალით წინ აღუდგეს ასეთ თვითნებობას, ამ გარემოებას გუბერნატორის ყურადღებას აქცევს სახელმწიფო ქონებათ გამგე და სთხოვს შემწეობის აღმოჩენას ხალხის თვითნებობის ასალაგმავად.

◆ ნავთლუღში გუშინ ნახეს გახსნილი ვაგონი, საიდანაც წაუღიათ სხვა და სხვა საქონელი. ხაშურშიც ნახეს პლომბა ნაწყვეტი ვაგონი. როცა გახსნეს, აღმოჩნდა, რომ 4 ფუთი სხვა და სხვა საქონელი და 4 ფუთი და 23 გირვანქა **რევოლვერი** წაუღიათ.

◆ ნამესტნიკის თანაშემწე **გენერალი მალამა დღეს დაბრუნდება შუშიდან.**

◆ მტკვრის მარჯვენა ტოტის ნაპირად მცხოვრებლებმა საერთო განცხადება შეიტანეს ტფ. ქალაქის გამგეობაში. აცხადებენ, დავუთმობთ ქალაქს ტოტის ნაპირა ადგილებს იმ პირობით, თუ ქალაქი უწმინდურების გამასუფთავებელ არხს გამართავს და მთელს ტოტს მიწით ამოავსებსო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეადგინოს ტეხნიკოსთაგან კომისია, რომელიც შეიმუშავებს საჭირო პროექტს.

◆ ტფილისის მეექვსე ნაწილის ბოქაული გლებოვი თავის სურვილით დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან.

◆ ტფილისის მოქალაქემ რუვინსკიმ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას ნება მისცეს [illegible] 1 ნაწილში.

◆ ბათუმში ადგილობრივი სცენის მოყვარენი ამ ლოტოს ხანში წარმოადგენენ იგ. გომართელის პიესას „ქოხში“. („ნ. გ.“).

◆ რიყის ქუჩაზედ 18 სექტემბერს ივანე კიკილაშვილს დანით მოუკლავს მიხეილ გოგიაშვილი. დამნაშავე დააპატიმრეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ჯერ კიდევ მონელებული არა ჰქონდათ ქუთათურებს აზოვ-დონის ბანკის გაძარცვის ამბავი, რომ სხვა, უფრო დასაღონებელი, შემთხვევა მოხდა ქალაქის თეატრში. მკითხველს მოეხსენება, რომ 15 ამა თვეს ქუთაისში დაიწყო კრება საგუბერნიო საბჭოსი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საერობო დებულება. 15-ს კრება იყო სადეპუტატო საკრებულოში, ხოლო 16-ს ზოგის მოთხოვნილებით გადაიტანეს ქალაქის თეატრში. თერთმეტი საათი გადასული იყო, რომ თავმჯდომარემ კრება გახსნა. გარეშე ხალხი ბლომად შეიკრიბა. ჯერ პროტოკოლები არ იყო დამტკიცებული, რომ პარტერიდან დაჟინებით მოითხოვეს უფლება ლაპარაკისა იმისთანა პირებმა, რომელთაც ამის უფლება არა ჰქონდათ. თავმჯდომარემ აუხსნა მთხოვნელთ ეს გარემოება და სთხოვა გარეშეთ წესიერება დაეცვათ და ხალხის წარმომადგენელთათვის საშუალება მიეცათ თავისი მოვალეობა შეესრულებინათ. ახალგაზრდობამ თავისი არ დაიშალა და დაჟინებით ითხოვდა სიტყვის უფლებას: „ჩვენაო, ამბობდნენ ისინი, ხალხის წარმომადგენელნი ვართ და უფლება არა გვაქვთ სიტყვის ნება წაგვართვათო“. ამაზე ერთმა რწმუნებულმა სახელდობრ გ. ზდანოვიჩმა, უპასუხა, რომ თეატრში დამსწრე საზოგადოებას არავითარი უფლება არა აქვს ხალხის სახელით ილაპარაკოს, რადგან ასეთი რწმუნება ხალხს მათთვის არ მიუცია. ამავე ბ-ნმა ზდანოვიჩმა ისიც აუხსნა, რომ ქვეყანაზე არ არის ისეთი საპარლამენტო დაწესებულება, სადაც ხალხისგან არ არჩეულ პირთ პარლამენტში ლაპარაკის უფლება ჰქონდეთო. ამ ნიადაგზე ატეხილმა ბაასმა, რომელიც რაც დრო გადიოდა ცხარე და პიროვნულ ხასიათს ღებულობდა, დიდხანს გასტანა და იმით დაგვირგვინდა, რომ ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ კრება დაიხურა და ხალხიც დაიშალა. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, რევოლვერი ჰაერში იყო გასროლილი, რადგან ტყვიის ნიშანი ჭერზე სჩანს. ამისთანა პირობებში რანაირად დაიჭრა ერთი ახალგაზდა ნეკში, კაცს ვერ გაუგია. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს. ასე სამწუხაროდ გათავდა საბჭოს კრება.

◆ გუშინ დეპეშით გაცნობეთ აზოვ-დონის ბანკის გაძარცვის ამბავი. ეხლა შემთხვევა მეძლევა დაწვრილებით გაცნობოთ ეს ამბავი. ათ საათზე ბანკის მეარტელემ გამოიტანა ბანკის შენობიდან რკინის სკივრში დაკეტილი 23.000 მანეთი, ეტლს დაუძახა და იმ დროს, როცა თითონ და ორი შეიარაღებული მსახური ეტლში ჩასხდნენ და ხაზინაში წასვლა დააპირეს, უცებ რევოლვერით შეიარაღებული ხუთი კაცი გაჩნდა. მეარტელეს და მსახურებს ისე შეშინებოდათ, რომ ამ ამბავისა არაფერი ახსოვთ, ასე გასინჯეთ, ისიც-კი არ ახსოვთ ჩოხიანები იყვნენ ავაზაკები, თუ სხვა ტანისამოსი ეცვათ. ამ მდგომარეობით ისარგებლეს ავაზაკებმა, ჩასხდნენ ეტლში, მეეტლეს რევოლვერებით დაემუქრნენ და სიჩქარით ბალახვანის ქუსისაკენ წავიდნენ. ყოველივე ეს ისეთის სისწრაფით მოხდა, რომ ერთი ხანი ბანკთან დარჩენილი ხალხი გონს ვერ მოვიდა. მოიკრიბეს თუ არა გონება, იმ წამსვე გუბერნატორს აცნობეს ეს ამბავი, რომელმაც ტელეფონით განკარგულება მოახდინა, რომ გზები შეეკრათ, პოლიციის სამაზრო დარაჯები ავაზაკებს დასდევნებოდნენ. ოცი რუსი-ყაზახი სალდათის ტყეში გაიგზავნა და ამავე დროს მაზრისა და პოლიციის მოხელენი ფეხზე დადგნენ, ისე რომ იყო ისეთი წუთი, როცა პოლიციაში და ქალაქში ერთი მოხელე აღარ იყო. ბანკის გაქურდვის ამბავი სასწრაფით მოედო მთელს ქალაქს და წარმოდგენილი გექნებათ, რა ინტერესით ელოდნენ დაკარგულ ფულის ძებნის შედეგს. 11 საათი ჯერ კიდევ არ იყო, რომ ქალაქში ხმა გავარდა, ფული იპოვნესო. პატარა ხანს უკან ყველამ გაიგო, რომ მაზრის პოლიციის დარაჯმა იპოვა ხელ-უხლებლად ფულის სკივრი შოტის ბაღში.

შოტის სახლი მდებარეობს ბალახვანის ქუჩაზე, როცა ამ სახლთან მისულა დარაჯი ოვეჩკო, ჭიშკარი ღია დახვედრია და რადგან გაუგია, რომ ავაზაკები ამ ადგილას გადმომსხდარან, ბაღში შესვლა მოუნდომებია. თუმცა მებაღეს უთქვამს, რომ აქ არავინ შემოსულაო, მაგრამ არ დაუშლია და შესულა ბაღში. აქ ბევრის ძებნის შემდეგ ერთის ჩირგვის ძირას აღმოუჩენია ფულის სკივრი ხელუხლებლად. როგორც გავიგეთ, ბანკის გამგეობას განუზრახავს სტრაჟნიკის ჯეროვნად დაჯილდოვება.

როგორც იცის მკითხველმა აქედან გამოგზავნილ წერილებიდან, ამ უკანასკნელ დროს ავ-ზნე და ბოროტნი კაცნი მეტისმეტად გათამამდნენ და თარეშობას უმატეს; ჭიათურისა, კოპიტნარის, **საჯავახოს** და სხვა ადგილებში მომხდარი ძარცვა-გლეჯა ამის მოწმე და დამამტკიცებელი საბუთია. ეს თავზე ხელ-აღებულნი გმირნი ხალხში ხმას ჰყრიან, ვითომ მათ საქციელს სარჩულად სპეტაკი აზრი ედვას. ამით ისინი ფონს ვერ გავლენ და ვერავის ვერ დააჯერებენ და ავაზაკობა ავაზაკობად და ბოროტებად დარჩება. უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოება გულ-გრილად ეკიდება ამგვარ შეუწყნარებელ საქციელს.

◆ ჩვენ შევიტყვეთ, რომ აზოვ-დონის ბანკის მეარტელის ერთი გამძარცველისთვის პოლიციას მიუგნია და კიდევაც შეუპყრია.

◆ აზოვ-დონის ბანკის გამგეობამ ადგილობრივ ადმინისტრაციას სთხოვა, რომ ხაზინაში ფულის გაგზავნის დროს, ბანკის დარაჯების გარდა მეარტელეს პოლიციის დარაჯებიც მფარველობდნენ. თხოვნა, რამდენადაც ჩვენ ვიცით, შეიწყნარეს.

ერობის შემოღება

რაჭა. 1 სექტემბერს რაჭის მაზრაში დაიწყო კრებები საერობო სამაზრო საბჭოსთვის წევრების ამოსარჩევად. ერთი ჯგუფი ინტელიგენციისა საჭიროდ არა სცნობდა, მხარი დაეჭირა საერობო საბჭოებისთვის. ამ უარყოფით პოლიტიკას დასძლია მეორე ინტელიგენტთა ჯგუფმა, რომელნიც ცდილობენ თვით საბჭოებში ჩაეშალათ მთავრობის ერობა და მისი პოლიტიკა. მოხდა ხელ ახალი არჩევნები. თავად-აზნაურობის და გლეხების შეერთებულმა კრებამ აირჩია შემდეგი წარმომადგენლები: დანიელ რაზმაძე, ბესარიონ მუსელიანი, ნესტორ კერესელიძე, სერგი ჯოხაძე, ივან ჯაფარიძე, კოწია წულუკიძე, ბესარიონ ბაქრაძე, ბიჭიაშვილი, ხუგაშვილი და გავაშვილი. სამაზრო კრება გაიხსნა რვა სექტემბერს. თავმჯდომარედ აირჩიეს რაზმაძე და მდივნათ—ელიავა. თავმჯდომარემ დაასურათა ნაკლოვანებანი 1864 წლის საერობო წესდებისა და წაიკითხა შემდეგი რეზოლუცია: „1. [illegible] ერობა არჩეული საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირ და ფარულის კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, 2. ადმინისტრაციისაგან სრულიად დამოუკიდებელი ერობა; 3. ყოველ გვარი ადგილობრივი საქმეები, დაწყებული სწავლა-განათლების საქმით და გათავებული პოლიციით, ერობის ხელში უნდა იყოს; 4. თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვისა, კრებისა, კავშირების და პიროვნების სრული ხელ-უხლებლობა“. ეს რეზოლუცია მიღებულ იქმნა ხმის უმეტესობით და მერე კი შეიმუშავეს საერობო წესდების პროექტი, რომელშიაც დაცულ იქმნა ზემო აღნიშნული პრინციპები. შემდეგ აირჩიეს საგუბერნიო საბჭოში გასაგზავნი შემდეგი წევრები: ნესტორ კერესელიძე, დათო ბაქრაძე, სერგი ჯოხაძე, ივანე ჯაფარიძე და კოწია წულუკიძე. მათ შორის დათო ბაქრაძე აირჩიეს ნამესტნიკის საბჭოში გასაგზავნათ, მაგრამ რადგან ის ავად აღმოჩნდა, მის მაგიერ აირჩიეს დანიელ რაზმაძე.

დანიელ შავრელი.

ტფ. სამაზრო კრება. სხდომა განახლდა 19 სექტემბერს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. სუმბათაშვილის თავმჯდომარეობით. გუშინდელი სხდომა კრებამ მოანდომა მხოლოდ იმ მთავარ პრინციპების განხილვას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ერობის დებულებას. კრებამ გაიცნო ციმბირის პროექტი. ერობის დებულების მთავარ საფუძვლად მიიღო შემდეგი: საარჩევნო უფლებები მიეცეს ყველა სრულ წლოვანს, განურჩევლად სქესისა; გაუქმებული იქნას სრულიად ცენზზე დამყარებული საარჩევნო უფლება; თავმჯდომარის ამორჩევის უფლება მიეცეს თვით კრებებს; არჩევანში მონაწილეობის უფლება ექნება ყველას, ვინც მიწერილი იქნება საარჩევნო რაიონს და ან სცხოვრებს იქ არა ნაკლებ ერთის წლისა; ერობას უნდა შეადგენდეს მცირე ერთეული, სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო. საოლქო ერობის შედგენის უფლება უნდა ჰქონდეს თვით ერობათა დაწესებულებებს; ერობანი უნდა მოქმედებდნენ სრულიად დამოუკიდებლად საშინაო საქმეებში. თუ რა უნდა გააკეთოს ჩვენში ერობამ, ამის შესახებ სხდომამ მიიღო ციმბირის ერობის დებულების პროექტის მეოთხე მუხლი. ამასთან ჩვენში ერობათ უნდა მიეცეთ უფლება კანონ-პროექტების განხილვისა ადგილობრივ ცხოვრების პირობების მიხედვით და აგრეთვე ერობის განკარგულებაში უნდა გადავიდეს წყალთა საქმის მართვა-გამგეობა. ერობის მცირე ერთეულის შედგენის უფლება უნდა მიეცეს თვით სოფლის ყრილობებს; ერობას უნდა ჰქონდეს უფლება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და სხვა. 1864 წლის დებულება უნდა შესწორდეს და გადაკეთდეს აღნიშნულ უმთავრეს პრინციპების საფუძველზე.

კრებამ მიიღო გ. ს. ქანანოვის მოხსენება იმის შესახებ, რომ მაზრამ ორი წარმომადგენელი აირჩიოს ნამესტნიკის საბჭოში, რადგან საბჭოში მოჰყვებიან უმთავრესად მემამულეთა ინტერესების დამცველნი; ერთი წარმომადგენელი გლეხთაგან უნდა იყოს. კრებამ მიიღო ეს წინადადება და დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა.

დასასრულ კრებამ აირჩია წარმომადგენელნი ნამესტნიკის და საგუბერნიო საბჭოებში. ნამესტნიკის საბჭოში ამორჩეულ იქმნა ი. ს. ჯაბადარი, ხოლო გლეხთა წარმომადგენლის კანდიდატად დ. ნახუცრიშვილი. საგუბერნიო საბჭოში ამორჩეულ იქმნენ: ნ. ო. ბერიშვილი, დ. ნახუცრიშვილი, ს. ს. ფირნაძე, ს. ნ. ვალიშვილი, თავ. გ. მ. თუმანოვი, ნ. ნ. ოსტროგორსკი, დ. პ. ეპიტაშვილი, გ. ზ. ქანანოვი, ა. ა. ქალანთარი და ბ. ალტუნინი. ორი აქედან კანდიდატია.

მცირე შენიშვნა

ამას წინად ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ჩემი წერილი, რომელიც ეხებოდა ერობას და ერთა თანასწორობას და რომელიც ბევრმა გადასხვაფერებულად გაიგო.

ჩემი წერილის აზრი ის იყო, რომ როდესაც საქართველოზე ვლაპარაკობთ, სახეში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ რეალური საქართველო, ის ადგილები, სადაც ერთიანად ქართველები მოსახლეობენ (ქართველები შეადგენენ сплошное населеніе-ს). ისტორიულ საზღვრებს არ შეგვიძლია გამოვეკიდოთ, რადგან ეს განუხორციელებელი ოცნებაცაა და თანაც არ შეეფერება იმ თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელსაც განსაკუთრებით უნდა ვიცავდეთ კავკასიაში მცხოვრები ერები.

ვამბობ რა ამას, მხედველობაში მაქვს ისეთი ადგილები ისტორიულ საქართვე-

---

ფელეტონი

მაქსიმ გორკის შემოქმედება

პირველ გამოჩენისთანავე გორკის ვარსკვლავმა ბრწყინვალედ გააშუქა, ეხლა, რაც უფრო მაღლა მიდის ცაზე, მით უფრო ძლიერდება მისი შუქი და უქადის დაბნელებას „მზეს“ თანამედროვე რუსულ პოეზიისა, რუსეთის დიდებულ მწერლის, ლევ ტოლსტოისას. გორკი ასპარეზზე გამოვიდა პატარა მოთხრობების პატარა ტომით, მაგრამ ერთბაშად დაიმონავა მკითხველი საზოგადოება, გახდა იმისი ღმერთი. იმის პოეტიურ მოთხრობების ფურცლებიდან გაისმა მძლავრი მოწოდება ცხოვრებისათვის, რომელიც აღსავსეა მშვენიერებით, ძლიერებით და მოძრაობით. მისი პოეზია იწვევდა პიროვნების უფლებათა ბრძოლისათვის, ჰკიცხავდა ჩვენის დროების შემზიზღებელ პირობებს, უმღეროდა სადღესასწაულო ჰიმნს ძლიერს ძალას, შეუდრეკელ ნებას, ძლიერ სურვილს თავისებურად ცხოვრებისას და არა საუკუნოების განმავლობაში შემუშავებულ შაბლონზე. მძლავრი, როგორც თვით პოეზია გორკისა, ზღვა უმღეროდა ენერგიით და სიმამაცით სავსე სიმღერას მხოლოდ ამაყ ფრინველს მიმინოს — „თავგადაწირულებას მამაცთა უმღერთ ჩვენ სიმღერასაო“. ზარივით გამოძახილი პოვა ამ სიმღერამ უმაწვილთა და აჩქარებულთა, დაირბაისელთა და თბილთა, ბებერთა და ცივთა გულში. გულმა ჩქარა ცემა დაიწყო და აღტაცებით მიესალმა ამომავალ ვარსკვლავს.

ათასობით გაიყიდა ახალ პოეტის ჰიმნები, რომლებიც მოუთხრობენ დიდდიდ, წუწუნა თანამედროვე საზოგადოებას „ოქროს სიზმრებს“.

რა მიზეზია პოეტისადმი ამგვარ სიყვარულისა? იქნება გორკიმ ახალი სიტყვა სთქვა, ცხოვრების ახალი ჰორიზონტები აღმოაჩინა? არა, გორკის არ აღმოუჩენია არაფერი ახალი. მასთან ერთად და წინადაც უფრო მძლავრად მღეროდა გორკის სიმღერას მეორე გამაღმერთებელი ადამიანის პიროვნებისა, ფრიდრიხ ნიცშე, მათ წინად მღეროდნენ სხვებიც, მაგრამ არავის არ მოუპოვებია ისეთი სიყვარული, როგორიც მოიპოვეს დედა-მიწის ზურგზე ნიცშემ და გორკიმ.

მიზეზი უნდა ვეძებოთ სხვაგან.

რაც უნდა სთქვან ეხლანდელ ცხოვრების წეს-რიგის უპირატესობაზე, რამდენადაც უნდა აქონ ბრწყინვალე ნაყოფი ცივილიზაციისა, გმინვა სულის ტანჯვისა უფრო და უფრო ძალოვნად არღვევს აწმყოს ქების ჰარმონიას და დაღლევს ჰიმნებს მომავლისადმი.

ეჭვს გარეშეა, რომ აკადემიურობის პროცესი მომწიფდა და კრიზისამდის მივიდა. საქმის ვითარება გამოირკვა ყველასათვის ერთ სასოწარკვეთილების ყვირილში, რომელიც გაისმის ჩვენი ცხოვრების აღელვებულ ზღვაში. ყვირილი მგრძნობარე ყურისათვის ისმის ყოველ მხრიდან: „მოგვეცით სარწმუნოება. ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, არის რამე ისეთი, რაც სარწმუნოების ღირსია; არის რამე ისეთი, რაც ღირს სიყვარულად. იქნება არაფერია და უნდა მივეცეთ სამუდამოდ სასოწარკვეთილების შავნეთს!“

შეირყა თანამედროვე საზოგადოების „შეურყეველი“ მსოფლ მხედველობა, მაგრამ ამ დროს გამოჩნდნენ ნიცშე და გორკი. მძლავრის ხმით შესძახეს სასოწარკვეთილს ადამიანს: „ნუ შიშობ, არის ქვეყანაზე ის, რაც სიყვარულად ღირს, რაც სარწმუნოების ღირსია, ეს „ის“ შენ თითონა ხარ, შენი მეა. ირწმუნე იგი და შეიყვარე.“ ღონე მიხდილმა, იმედ დაკარგულმა თანამედროვე ადამიანმა აღტაცებით დაუწყო სმენა ნეტარ სიმღერას და კვლავ იგრძნო თავი გმირად, გაიგო სიამოვნება და მშვენიერება ცხოვრებისა.

აი, რატომ შეიყვარა თანამედროვე საზოგადოებამ გორკი და იმისი „ბოსიაკები“.

ვინ არის ეს თვალთმაქცი? რა შინაარსია მისი პოეზიისა? პოეტის შეგნება მისი ბიოგრაფიის ცოდნისაო,—ამბობდა საფრანგეთის გამოჩენილი კრიტიკოსი სენ-ბევი, მამა თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკისა. სრული ჭეშმარიტებაა ეს აზრი. მართლაც, რა არის პოეტური თხზულება? სარკე პოეტის სულისა და გულისა, პოეტის სული და გული კი იქნება ადამიანის ცხოვრების ფაქტებისაგან. როგორ შევიგნებთ ადამიანის აზრებს, გრძნობებს, მოქმედებას, თუ არ გვეცოდინება პირობები გარეშე და შინაგან ცხოვრებისა. როდესაც ჯერეთ უცნობელი, უფრო ადვილია ჩვენთვის გავიკვლიოთ გზა სულის სიბნელეში; ისინი მიგვითითებენ მავთულებზე, რომლებიც აწარმოებენ ადამიანის ცნობიერების ცხოვრებას.

მაქსიმ გორკი რატომ არ წააგავს სხვა თანამედროვე მწერლებს? რატომ და იმიტომ, რომ იგი მაქსიმ გორკია. იგი განვითარდა ისეთ პირობებში, რომელთაც არავითარი მსგავსება არა აქვს სხვა თანამოკალმეთა განვითარების პირობებთან. გორკის ცხოვრებამ ბეჭედი დაასვა მის პოეზიას, მის გულში შექმნა ერთი სიმღერა, რომელიც მისდა უნებურად ისმის, როდესაც გორკი ცხოვრებას თვალს ადევნებს.

გამოცნობა ამ სიმღერისა, შეგნება იმ საიდუმლო ძალისა, რომელიც ყოველთვის თავისებურად აფერადებს აზრსაც, გრძნობასაც და პოეტის მოქმედებასაც, ნიშნავს გასაღების პოვნას შესაგნებლად პოეტის ნაწარმოებთა, რომელნიც სხვას არაფერს წარმოადგენენ პოეტის აზრის და გრძნობის გარდა.

ჩვენდა საუბედუროდ, ძნელია ამ საქმის შესრულება, რადგანაც გორკი ჯერაც ცოცხალია და არ უყვარს თავის ცხოვრებაზედ ლაპარაკი. უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ცოტაოდენ ცნობებით, რომლებიც გამოაქვეყნეს ჟურნალ-გაზეთებში.

ნამდვილი სახელი და გვარი გორკისა გახლავთ ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი. დაიბადა 1869 წელს ნიჟნი-ნოვგოროდში, მღებავის სახელოსნოში. ჭეშმარიტად მწარე იყო მისი ბავშვობა და ტყუილად არ ამბობს პსევდონიმად გორკი (მწარე). გორკის მამა გამოქცეულა ტობოლსკიდან ნიჟნში პოეტის პაპას, შეუბრალებელ და გულქვა ადამიანს, და ლუკმა-პურს შოულობდა ხელოსნობით. მან მდიდარი ვაჭრის ქალი შეირთო საცოლის მშობლების ნებადაურთველად. შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რა მხიარულად გაატარა ბავშვობა ალიოშამ მღებავის ღარიბ სახელოსნოში. როდესაც გორკის მშობლები დაეხოცნენ, ჯერ კიდევ პატარა ბავშვი იყო. დედის ნათესავები, რასაკვირველია, სრულიად არა ზრუნავდნენ ბავშვისთვის, გორკი გამოიყვანეს სკოლიდან, სადაც მხოლოდ ხუთი თვე დაჰყო, და მეწაღეს მიაბარეს. ბევრი ხანი არ დარჩენილა პოეტი მეწაღესთან. მალე გაუღვიძა მაწანწალის ინსტინქტი. [illegible] გორკი [illegible]. გორკი ბავშვი, უფიქრელად მომავლისათვის, გაემგზავრა თავისის [illegible] დედა ბიძისაკენ და [illegible] ობოლი, მაგრამ თავშესაფარი და საჭმელ-სასმელი. ვოლგა გახდა გორკის მეორე მშობელი-დედა. ვოლგამ შეიყვარა პოეტი, პოეტმაც შეიყვარა გულწრფელის სიყვარულით მაწანწალისა, რომელმაც იპოვა თავისი სამშობლო. ბავშვის ფანტაზიამ, რომელიც [illegible] ვითარდებოდა მარტოობის გამო, მდიდარი საზრდო იპოვა ვოლგის თვალ-უწვდენელ და მძლავრ წყლებზე. ველური მდინარე პოეტის ოცნებათა წყაროდ გადაიქცა. [illegible]

ლოსი, სადაც დღეს ქართველები თითქმის სრულიად არ ცხოვრობენ. ასეთ ადგილებს ვერ მივაკერებთ, ვერ შევუერთებთ ეროვნულ ტერიტორიას იმიტომ, რომ ოდესმე საქართველოს სამეფოს ნაწილი იყო. ჩემი მოსაზრება შეეხება მხოლოდ ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრების და ზაქათალის ოლქის ნაწილებს. მაგრამ, არ მითქვამს და არც არასოდეს არც ვიტყვი, რომ საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გამოირიცხოს სხვა რომელიმე ნაწილი ტფილისის გუბერნიისა, სადაც ქართველებთან ერთად სხვებიც ცხოვრობენ.

კბ ამი

თეატრი

სახალხო წარმოდგენა. 17 სექტემბერს დაიწყო სეზონი სახალხო წარმოდგენებისა ქართულმა სექციამ. ამ დღეს რკინის გზის მთავარ სახელოსნოების თეატრში სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს 4 მოქმედებიანი დრამა ტ. რამიშვილისა. თვით დრამის ღირსებას და ნაკლულევანებას აქ არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პიესა თანამედროვე ცხოვრებიდან არის აღებული. ხალხის შვილი ილიკო მენაბდიშვილი თავის ძმებით ებრძვის ძველის აზრებით გაჟღენთილ თავად-აზნაურთა წრეს და კიდეც იმარჯვებს. მენაბდიშვილმა ხალხში ტრიალით და მუშაობით გამოაფხიზლა და გაათვითცნობიერა ხალხი, გააგებინა, ვინ არის მისი მტერი და ვინ მოყვარე.

სცენის მოყვარენი, ერთი ორის გარდა, საზოგადოდ ყველა კარგად მომზადებულიყვნენ და მთელი პიესა ისე კარგად ჩაატარეს რომ ხალხი აღტაცებაში მოიყვანეს. წარმოდგენას ხალხი იმდენი მოაწყდა, რომ უადგილობის გამო ბევრი უკან დაბრუნდა.

—

რუსული ოპერა. ოპერის წარმოდგენები დაიწყო 17 სექტემბერს. პირველ ორ წარმოდგენაზევე („აიდა“ და „ევგენი ონეგინი“) გამოირკვა, რომ ანტრეპრენერს დასის შედგენის დროს მხედველობაში უფრო ანსამბლი ჰქონია. ამიტომ მაგდენი ყურადღება არ მიუქცევია გამოჩენილ და დიდ არტისტების მოწვევისთვის. პირველ წარმოდგენაზე ყველაზე მეტი ყურადღება მიიქცია ბ-ნმა დონსკოიმ, რომელმაც ტფილისში პირველად შეასრულა რადამესის როლი. აიდის პარტიის ამსრულებელი, ტფილისელთათვის უკვე ცნობილი ქ-ნი დუბროვსკაია, დრამატული სოპრანოა, ამიტომ იმის ხმას სავსებით ვერ უდგება აიდას პარტია. მაგრამ კარგმა გამოთქმამ, გრძნობიერმა სიმღერამ და მხატვრულმა გადმოცემამ დამსწრენი დააკმაყოფილა. ამნერასის პარტიის ამსრულებელმა ქ-ნმა კარრომ თავის კარგის თამაშობით და სიმღერით ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ გამოცდილი მსახიობია, თუმცა იმისმა უკვე მოძველდა ხმამ საკმაოდ იჩინა თავი. ბ-ნთ სოკოლოვსკიმ (ბარიტონი) და დრაგულიმ (ბასი) კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს. „აიდა“-ზე დირიჟორობდა ბ-ნი შტეინბერგი და, როგორც ყოველთვის, კარგად დირიჟორობდა,

მეორე წარმოდგენამ „ონეგინ“-მაც მწყობრად ჩაიარა ანსამბლის მხრივ. მთავარ როლს, „ონეგინი“-სას, ასრულებდა ტფილისელთათვის ცნობილი ბ-ნი ევლახოვი, რომელსაც მოხდენილი, ყველა რეგისტრში ერთნაირად სწორე და საკმაოდ ძლიერი ბარიტონი აქვს. სუსტობდა მხოლოდ ხელოვნური მხარე გადაცემისა. გამოთქმა, თამაშობა, მიმიკა და გრიმი ნაკლებად შეეფერებოდა „ლონდონის დენდის“ ტიპს. ტატიანის პარტია რიგიანად შეასრულა ქ-ნმა არვაბაშევამ. ამ მომღერალს ხმა გაჰმაგრებია და ახლა მაღალ ნოტებსაც კარგად იღებს. კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ახალმა დებიუტანტებმა კოდოტოვმა (ლენსკის პარტია) და მიქეშინამ (ოლგა). ორივეს ტკბილი ხმა აქვს. რიგიანად განაგებდა ორკესტრს ბ-ნი ფალიაშვილი.

ნ.

რუსეთის ქრონიკა

გაზეთების კითხვის აკრძალვა. ტვერის გუბერნიის ვიშნევოლოცკის მაზრაში ადგილობრივი მთავრობა გაზეთ „სინ ოტეჩესტვა“-ს ნომრებს ართმევს თურმე ყველას, ვინც-კი ამ გაზეთს იწერავს. (პრ.).

პოლიციის მოქმედება. ვარშავში პოლიცია იჭერს ქუჩებში და სინჯავს ყველა გამვლელ-გამომვლელს. ერთ დღეს პოლიცია შემორტყმია ყავახანა-საკონდიტეროებს, გაუჩხრეკია იქ მყოფნი და დაუჭერია დიდძალი ხალხი. (პრ.).

ასაფეთქებელ ნივთიერების მზადება. ბელოსტოკის მაზრის ს. სლობოდაში აღმოუჩენიათ ერთი სახელოსნო, სადაც სხვა და სხვა ასაფეთქებელ ნივთიერებას თურმე ამზადებდნენ. ეს ბინა სჭერია ერთ ყმაწვილ კაცს, რომელიც სადღაც მიმალულა. (პრ.).

საიდუმლო სტამბა აღმოუჩენიათ ალექსანდროვსკის განაპირა მხარეს; შეუპყრიათ ორი რუსი და ერთი ებრაელი. (პრ.).

სოციალისტთა კომიტეტის კრება ტყეში. ლიბავიდან 8 ვერსის მანძილზე ტყეში ჯარს და პოლიციას დაუჭერია 58 კაცი, რომელთაც ამ ტყეში კრება ჰქონიათ გამართული. ის ადგილი, სადაც კომიტეტის წევრნი შეიპყრეს, ისე ყოფილა გატკეპნილი და ამასთან ნამწვავ პაპიროსებითა და ნაფლეთ ქაღალდებით მოფენილი, რომ ეტყობა სოციალისტთა კომიტეტს დიდიხანია ბინათ ჰქონია ეს ადგილი. (პრ.).

ჟანდარმების დაჭრა. 20 აგვისტოს ღამის 11 საათზე, ჰელსინგფორსში თავს დასხმია სკოლის ქუჩაზე მიმავალ ჟანდარმ დენისიუკს სამი უცნობი ბოროტ-განმზრახველი და რევოლვერებით დაუჭრიათ. დენისიუკი დასდევნებია მტრებს რევოლვერითვე, მაგრამ ქუჩაში თავ მოყრილ ხალხისთვის ველარ გაუტანებია და მსროლელნი მიმალულან. დაჭრილი პოლიციას საავადმყოფოში წაუყვანია. ჟანდარმის ჭრილობა სასიკვდილოდ უცვნიათ. (პრ.).

ებრაელთა მიერ გამართული დემონსტრაცია. 24 აგვისტოს კიშინევში ასაფლავებდნენ თურმე ვილაც მძარცველებისაგან მოკლულ ებრაელს ქალს. დასაფლავებას დასწრებია 5,000-მდე ებრაელი და ქუჩებში მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გაუმართავთ, აუფრიალებიათ ბაირაღები, წარმოუთქვამთ სიტყვები და სროლა დაუწყიათ. რუსის აღელვებული მუშები და გლეხები სცემიან დემონსტრანტებს და ჩხუბი აუტეხიათ. სხვათა შორის, დაუჭრიათ ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი. გამოწვეულ ჯარს ძლივს გაუფანტავს შეგროვილი ხალხი, რომელშიაც 55 კაცი დაჭრილა. (პრ.).

ჯარის გადაყვანა ფინლიანდიაში. 9 სექტემბერს გაიგზავნა ფინლიანდიაში 4,500 სალდათი მე-158 სათადარიგო ბატალიონისა. ერთი დღის წინად კიდევ გაიგზავნა ფინლიანდიაში რაზმი. დღეს ვარშავის რკინის გზით მოიყვანეს პეტერბურგში უკანასკნელ მობილიზაციის რამდენიმე წყება სათადარიგო ჯარისკაცი ნამდვილი სამსახურში ჩასარიცხავად. რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ამ დღეებში გადაჰყავთ ფინლიანდიაში ორი პოლკი ქვეითი ჯარისა და რამდენიმე სოტნა ყაზახი. (რ. ვედ.).

გლეხთა კავშირი თანდათან იზრდება. კავშირის წარმომადგენელნი რუსეთს 42 გუბერნიაში ჰყავს. სულ კავშირში ამჟამად 100,000 წევრი ითვლება. („რ. ვედ.“).

სასჯელი წინააღმდეგობის გაწევისათვის. არეულობის დროს წინააღმდეგობის გაწევისათვის მუშას ლუპანდინს ეკატერინოსლავის სამხედრო სასამართლომ 12 სექტემბერს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. ამასთან დაადგინა, იშუამდგომლოს ის სასჯელი 15 წლის კატორღით შეუმსუბუქდეს. (რ. სლ.).

წერილები

ს. ავჭალა. არც ძალიან მიკვირს, მაგრამ მაინცა და მაინც სხვა უარესობასთან, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება, ესეც ამაღელვებელი ფაქტია: ს. ავჭალის მამასახლისმა 19 ამ თვეს გალახა ამავე სოფლის მცხოვრები გლეხი ს. სუნიაშვილი. რათა? რათა და იმიტომ, რომ ამ გლეხს არ გადაუხდია ათი შაური სოფლის იმ პირთა სასარგებლოდ, რომელნიც წასულან ს. ნორიოში „ერობის“ საქმის გამო. როგორც ვხედავთ, „ერობა“ თვისი პირველი ნაბიჯით მამასახლისების სახრის ძალით დაიარება, და შემდეგ იქმნება კეტითაც გამოგვედევნოს! და ეს კეტი კი უფრო მსხვილ მკვლავს ეპირება ხელში, ვინაიდან ყველას თავისი თანამდებობა აბარია.

ი. ხოსიტაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

I.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ ეს ჩემი წერილიც, რომელიც სავსებით ახასიათებს თავად-აზნაურთა რაზმს. პირველსავე დღიდან, რაც ეს რაზმი დაარსებას აპირებდა, იმის წევრები მემუქრებოდნენ. მერე თითქმის ყოველ დღე მუქარას მითვლიდნენ და თუ სადმე შემხვდებოდნენ, თოფსაც მიმიზნებდნენ. მუქარას ყურადღებას არ ვაქცევდი, თოფის დამიზნებას კი იმათ ხუმრობათა ვთვლიდი. მაგრამ ბოლოს, 28 მარიამობისთვეს, დამიმტკიცეს, რომ ხუმრობა არა ყოფილიყო. 21 ამ თვეს ჩემთან მოვიდა ჩემი ამხანაგი პოლონელი, რომელმაც ქართული არც კი იცის. არ ვიცი, რაზმელებმა რა იფიქრეს, მხოლოდ 28 იმავე თვეს ათის ნახევარზე საღამოთი დამეცნენ, რიცხვით 20—25 კაცი. რადგან მინდოდა გამეგო, რა ამბავი იყო, ქვეით ჩაველი. ჩაველი თუ არა, თოფები დამიშინეს, თან მიყვიროდნენ, თოფები მოგვეციო. თოფებს სოფელსაც ესროდნენ—არ მიეშველონო, ესროდნენ ჩვენ სახლსაც, სადაც დედა ჩემი, დები და დეიდები იყვნენ. თოფები სანადირო გვქონდა, გილზებიც დატენილი არ იყო, ან კიდეც რომ ყოფილიყო, 150—200 ნაბიჯზე რას გავაწყობდით? რაზმელებმა წინათვე გაიგეს, რა თოფებიცა გვქონდა. ნახევარი საათი თოფს გვესროდნენ, სანამ ამხანაგმა თოფები არ გაუგზავნა. მიიღეს თუ არა თოფები, ერთი სამჯერ კიდევ მესროლეს და წავიდნენ. თან სოფლელებს დაუყვირეს: ვინც ყოჩაღი ხართ, გამოდითო. რაზმელების წასვლის შემდეგ სახლი დავათვალიერეთ. რვა ალაგას კედლებს და ფანჯრებს ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ყავარიც სულ დახვრეტილი იყო. ჩვენ რაღაც სასწაულით გადავრჩით.

მარტო ეს არ გვაყოფინეს. 25 იმ თვესვე ჩვენში ერთმა გლეხ-კაცმა მეორე მოჰკლა და იმის შვილი დაარბია. ერთ და ერთ-ნახევარ საათის შემდეგ ცეროვნისიდან მოიჭრნენ შავი რაზმელები (ჩვენს სოფელ თამარაშენში რაზმელები არ არიან) შემოერტყნენ სოფელს; ზოგი მათგანი გლეხებს და მათს სახლებს თოფს ესროდა. ჩვენ ცოტა მოშორებით ვართ სოფლიდან, მაგრამ ჩვენ სახლთანაც ჩამოწკრივდნენ და თოფები მოგვიშირეს კიდეც; სწორედ ამ დროს ყაზახები მოვიდნენ და რაზმელებმა სროლა შეწყვიტეს, ჩვენც თავი დაგვანებეს. ყაზახებმა და რაზმელებმა ერთად დაუწყეს მკვლელს ძებნა. ამ ძებნის დროს რაზმელებმა ერთ გლეხსა სცემეს თოფის კონდახებითა და მათრახებით, გარეთ რათა დგებარო. როცა მე ჩავიდა, მამაცმა რაზმელებმა გადასწყვიტეს, ჩქარა წავიდეთ, თორემ მკვლელი სადმე ჩაგვისაფრდებაო და დაგვხოცავსო. ორმოცამდის კაცი იქნებოდა,

წინადაც ბევრჯელ ეცემოდნენ ჩვენს სოფელს ზოგიერთი მათგანი, მიჰყავდათ ნახირიდან საქონელი, მერე გლეხ-კაცებს ფულს ართმევდნენ და ისე უბრუნებდნენ უკან დატაცებულ საქონელს. 21 მარიამობისთვესვე კინაღამ ქალაქელი ვაჭარი არ მოჰკლეს. ბევრ ამისთანეებს სჩადიან, ქალაქში-კი გავიგე, ვითომ რაზმი კარგა ხანია აღარ არსებობს. ეტყობა, ქალაქში ქართლის ამბებისა თითქმის არა იციან-რა, არ იციან აგრეთვე რა გაჭირვებაში არიან გლეხკაცები და იმათი მომხრენი.

ანტონ ივანეს ძე ფალავანდიშვილი.

II

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი მისცეთ შემდეგ ამბავს. 14 ამ თვეს მე მივყვებოდი ტფილისიდან ყარსში მიმავალ სახალხო მატარებელს, რომელიც ტფილისიდან 12 საათის 50 წუთზე გადის. სადგურ სოღანლუღში ჩემს ვაგონში შემოვიდა სამი სუფთად ჩაცმული კაცი. ცოტა ხნის შემდეგ ისინი გავიდნენ მეზობელ ვაგონში. დილის ოთხი საათი იქნებოდა, შევედი მეზობელ ვაგონში, სადაც ვნახე მოგროვილი მგზავრები. ვიკითხე რა ამბავია, მითხრეს სამი მგზავრი გაუძარცვავთო და მიმითითეს გაძარცულებზე. ჩემ შეკითხვაზე გაძარცულებმა მიამბეს შემდეგი—„წუხელ, პირველ საათზე, აქ შემოვიდა სამი მშვენივრად ჩაცმული კაცი, ამოიღეს საუზმე და დაიწყეს ჭამა. ცოტა ხნის შემდეგ ჯიბიდნ ამოიღეს ღვინით სავსე ბოთლები. თვითონაც დალიეს და ჩვენც თითო ჭიქაზე მიგვიპატიჟეს. ჩვენ უარი არ გვითქვამს და დავლიეთ მოწოდებული ღვინო. მერე სამივეს მიგვძინებოდა და რა დაგვემართა, არ გვახსოვსო“. ერთმა მათგანმა განაცხადა: იმწამსვე შევნიშნე, რომ ცუდათ იყო საქმე: დავლიე თუ არა, ძილმა დამძლია, მინდოდა ახლო მჯდომ ყაზახისთვის მეთქვა, მაგრამ ლაპარაკი ვერ შევსძელი და მიმეძინაო. მგზავრებმა მაჩვენეს გაჭრილი ჯიბეები. ერთისა წაუღიათ 16 მანეთი—მეორისა—ათი მანეთი, მესამისა საათი და წვრილი ფული. ერთი ძლიერ სისუსტეს ჩიოდა. ვბეჭდავ ამ ამბავს მგზავრთა გასაფრთხილებლად.

კონდუქტორი ალექსანდრე ხაბურზანია.

III

ბატონო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მოგვეცით გამოვაცხადოთ შემდეგი. ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერელნი, ტფილისის გუბ. გორის მაზრის სოფელ საკორინთლოს მცხოვრებნი აზნაურნი დავეთანხმეთ გლეხების ყველა მოთხოვნილებას, ესე იგი: ტყე, საძოვარი, ნარიყი, ქვა და ქვიშა უფასოთ; დასამუშავებლად მიცემულ მიწაზედ ყაბულსა ვართ ავიღოთ მეათედი შემოსავლისა; დავუთმეთ ნადელები და აგრეთვე მზად ვართ მათთან ვიყოთ ყველა საქმეში, ჭირსა და ლხინში.

ევგენ იოსების-ძე თუხარელი, ავთანდილ გიორგის ძე თუხარელი, ალექსანდრე თუხარელი, ვანო თუხარელი (რადგან ამან წერა არ იცოდა, მისის თხოვნით ხელს ვაწერ სოლომონ კორინთელი), ვლადიმერ ანანაშვილი, გიორგი კორინთელი, ილია კორინთელი, ზურაბ თუხარელი, კონსტანტინე გედევანიშვილი, ივანე კორინთელი, კოტე თუხარელი, გიორგი თუხარელი, სვიმონ ქავთარაძე.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 17 სექტემბერი. გუბერნატორმა გაანთავისუფლა ისინი, რომელნიც რიონის რაზმის უფროსად ნამყოფმა ადმინისტრატიულის წესით დააპატიმრა.

ქუთაისი, 17 სექტემბერი. სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე ქვითურის შვიდი მუშისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ქვითურის სამრეწველო კანცელარიის დაწვა, მოკვლა ორი საერობო დარაჯისა და კანცელარიის მოხელის მხეიძისა. გადაუწყვიტეს ჩამოხრჩობა შალვა ჯაფარიძეს, მიხეილ ვაშაძეს, სევასტიონ სალაძეს. უვადო კატორღა იოსებ ვაშაკიძეს და 15 წლით კატორღა სარდიონ კაპანაძეს. მძიმე შთაბეჭდილება იქონია განაჩენმა.

დღეს გუბერნიის საერობო კრებიდან სოფლის თვრამეტი წარმომადგენელი დემონსტრატიულად გავიდა იმისთვის, რომ მათ მიერ წარდგენილ რეზოლიუციას კენჭი არ უყარეს. დარბაზიდან მიმავალმა საზოგადოებამ დარბაზში დარჩენილნი აიძულა ამათაც მიეტოვებინათ კრება.

ქუთაისი, 19 სექტემბერი. დღეს დილით ქვითურაში გაძარცვეს შავი ქვის მრეწველთა გამგე ჩიღინგარიანცი, რომელსაც 500 მან. წაართვეს. მძარცველნი ვერ შეიპყრეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
17 სექტემბერი.

ყაზანი. საბეითალო ინსტიტუტში ნებადართული ყრილობა ჰქონდათ სტუდენტებს. გადაწყდა, განაახლონ მეცადინეობა, უარი სთქვან პირობით გადაყვანაზე და არ დაიჭირონ ახლა გასათავებელი გზაშენები.

ბელგრადი. ოსმალეთის ელჩმა თავის მთავრობის სახელით მწუხარება გამოუცხადა სერბიის მთავრობას სერბია-ოსმალეთის საზღვარზე მომხდარ ინციდენტის გამო, სიტყვა მისცა, რომ დამნაშავენი დაისჯებიან და იმედი გამოსთქვა, რომ სერბიაც მიიღებს ზომებს ამისთანა ინციდენტების განმეორების წინააღმდეგ. აქ ფიქრობენ, რომ ოსმალეთი დააჯილდოებს დახოცილ სერბიელთა ოჯახებს.

თეირანი. ავღანის ემირმა აგენტები გაგზავნა ინდოეთში უნაგირებისა, წაღებისა და სხვა საჭირო ნივთების საყიდლად, რაც საჭიროა დიდძალ ჯარების მოსაწყობად.

პეტერბურგი. „საეკლესიო უწყებებში“ დასტამბულია უმაღლესად დამტკიცებული მოხსენება სინოდისა, რომელიც შეეხება საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორის წევრ გორის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად დანიშვნას და მის კურთხევას ტფილისში.

პეტერბურგი, 17 სექტემბერი. ოფიციალური. ხელმწიფე იმპერატორმა 15 სექტემბერს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ვიტტეს:

„მოგესალმებით და მოგილოცავთ ვაშინგტონიდან დაბრუნებას. ჩინებულად შეასრულეთ ჩემი მინდობილება, რომელსაც პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის. მოგიპატიჟებთ ჩემთან პარასკევისთვის, ბიორკეზუნდში. ჩემის ბრძანებით თქვენს განკარგულებაში გამოგზავნილი იქნება იახტა „სტრელა“. „ნიკოლოზ“.

იახტა „სტრელა“ ბიორკეზუნდს მივიდა 16 სექტემბერს, დღის 5-ის ნახევარ საათზე მაშინ, როცა მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ნაპირზე გადადიოდნენ. როცა ხელმწიფე „პოლიარნაია ზვეზდა“-ზე დაბრუნდა საღამოს 7-ის ნახევარ საათზე, მან კეთილ-ინება და ბრძანა, მაშინავე გაეგზავნათ ვიტტესთვის ორთქლმავალი კატერი. მოვიდა თუ არა ვიტტე, მაშინვე მიიღო იგი ხელმწიფემ. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და გრაფობა უბოძა ვიტტესა და სადილზე მისი სიდიდებულება მიიწვია. მეორე დღეს გრაფი ვიტტე მიპატიჟებულ იქნა საუზმეზე ხელმწიფესთან, რის შემდეგ იგი იახტა „სტრელა“-თი პეტერბურგს დაბრუნდა.

თეირანი. ინგლისის კონსული ქირმანშაჰში ქურდისტანს წავიდა დიდის კონვოით, სადაც არეულობა ეტყობა, რასაც კავშირი აქვს კავკასიის ამბებთან.

მოსკოვი, 17 სექტემბერი. დღეს საზოგადო დაწესებულებათა და პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ კომიტეტის სხდომამ დაადგინა, შეადგინონ მოწოდებანი რუსეთის საზოგადოებისადმი, გამართონ კრებულები დამშეულთა სასარგებლოდ, გამართონ კონცერტები, სადამოები, ლექციები, სასადილოები. შეერთდნენ 15 საზოგადოებანი პროფესიონალურ კავშირებისა.

ჩიტა. დალაი-ნორაში ჟამისგან ავად გახდა 20, მოკვდა 10. ყველა ის სახლი, სადაც ავად მყოფები იყვნენ ცეცხლს მისცეს. მანჯურიის საზღვარზე ორი გახდა ავად.

პარიზი. ერთს ხელმძღვანელ ორგანოს სჯაბაასი ჰქონდა ინგლის-იაპონიის კავშირზე და სთქვა, რომ დღეიდამიერ იაპონია ვალდებულია დაიცვას ინდოეთი. იაპონია არ ეტყვის უარს ამ ვალდებულებაზე, ვინაიდან კავშირს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მისთვის. მეორე ორგანოს აზრით, უეჭველი კავშირი ინგლის-იაპონიის კავშირის წინააღმდეგ აგრარიულ ხასიათის იქმნება.

ჩიტა. გუბერნატორს ეცნობა, დალაი-ნორის სადგურის ახლოს ჟამით ავად გახდა 12, და მოკვდა ათი. ავადმყოფობის დიაგნოზი ნამდვილია.

პეტერბურგი, 17 სექტემბერი. სახელმწიფო კასის ცნობებით, 1905 წლის პირველ 6 თვის განმავლობაში სახელმწიფოს ჩვეულებრივი შემოსავალი იყო 949.246,000 მანეთი,

---

რი განდევნილთა, თავშესაფარი უკმაყოფილოთა და თავისუფალ ცხოვრების მძებნელთა მდინარის სიფართოვე ხედ—ვოლგა გახდა გორკის აღმზრდელი. ვოლგამ გაუღვიძა პოეტს პოეტური გრძნობა ბუნებისა, მარტო ამ გრძნობამ „დაიცვა“ გორკი და არ გახადა თავზე ხელ-აღებულ „ბოსიაკად“, რომლის მღერალიც შეიქმნა შემდეგში.

თვალ-უწვდენელ ვოლგის სიფართოვე, პოეტური მოთხრობები, მასთან დაკავშირებული, ხალხის სახელ განთქმული ბელადები, სტენკა რაზინი და პუგაჩევი,—ყველა ერთად ზრდიდა გორკის გულში სიყვარულს თავისუფლებისადმი, ორგანიულ სიძულვილს უმოძრაობისადმი, წყნარ ცხოვრებისადმი.

ვოლგის ნაპირებმა გააცნო გორკის ათასი თავისი მსგავსი ობოლი, ბედისგან დაჩაგრული, ცხოვრების მეჯლისიდან გამოტოვებული. ვოლგის ნაპირებმა აანთო გორკის გულში ცეცხლი სიძულვილისა ძალადობისადმი და [illegible], ვინც ბადებს ხალხის ცხოვრებას. უკვე ბავშვობაში დაითესა თესლი იმ აზრებისა და გრძნობებისა, რომლითაც აგრე რიგად მოიგეს მკითხველის გული და მოხიბლეს იგი. გორკის მოთხრობები დაწერილი იყო სისხლით გულისა, რომელიც დასწვრეს ბავშვობაშივე, იმიტომ იყო სისხლი აგრე წითელი.

ვოლგაზედ ბავშვი-გორკი მოხვდა ერთ გემზედ მზარეულ-ბიჭად. გემზედ შეიძინა ახალი მასწავლებელი-მზარეული მიხეილ სმური. ბებერ უნტერ-ოფიცერს გაგიჟებით უყვარდა წიგნი. იმას ჰქონდა წიგნებით სავსე ზანდუკი. გოგოლის და ეკარსჰაუზენის თხზულებებთან ერთად იქ ნახავდით „ცხოვრება წმინდანთა“, „სარწმუნოების ხმა“, სახალხო და ისტორიულ მოთხრობებს. სმურმა გაიტაცა ცნობის მოყვარე ალიოშა. გორკი დაეწაფა წიგნებს და თვალწინ გადაეშალა ახალი ფანტასტიური ქვეყანა, სადაც წმინდანები სასწაულთ მოქმედებდნენ და ისტორიული გმირები საარაკო საქმეებს აკეთებდნენ. გორკი დროებით მოსწყდა სინამდვილეს და სცხოვრობდა ოცნებების რომანტიულ ქვეყანაში. შეიძლება სწორედ ამ კითხვამ შეიმუშავა გორკიში მიდრეკილება რომანტიულ სიუჟეტებისადმი, რომელიც აგრე თვალში ეცემა მკითხველს.

ოცნება, ოცნება იყო, მაგრამ მრისხანე სინამდვილეს არ ეძინა. უმოწყალოდ შეეჭრებოდა ხოლმე ალიოშის ბრწყინვალე ფანტასტიურ ქვეყანაში და ჰფანტავდა მის აჩრდილურ მშვენიერებას. ფანტასტიურ ცხოვრების სინათლეზედ სინამდვილე უფრო ძლიერ აკვირვებდა საზიზღრობით და აიძულებდა ყმაწვილ კაცს მოეძებნა დედამიწაზედ უკეთესი ბედი, თავისი ბედნიერება.

გორკიმ სწავლა მოინდომა. თექვსმეტი წლისა მივიდა ყაზანში „ძლიერის“ სურვილით, როგორც თვით გორკი ამბობს, შესულიყო იმ იდეების ქვეყანაში, რომელიც ნახა მხოლოდ წიგნებში“. გორკის ეგონა, რომ მისი სურვილი ადვილი ასასრულებელია. მართლა, კაცს სწავლა სწყურიან, მაშასადამე, მიეცით სასმელი. „არა, ამბობს გორკი, ეს მიღებული არ გახლავს“. გორკი იძულებული გახდა შესულიყო შეგირდად მეპურესთან, რომელიც შემდეგ დასურათ-ხატა მოთხრობაში „კონოვალოვ“.

გორკიმ მაინც გაიცნო ზოგიერთი ინტელიგენტი, ის თავგანწირული ყმაწვილ-კაცობა ოქროს გულით, რომელიც გულ-უბრყვილოდ ფიქრობს თავის საშუშაოთ ოთახში ქვეყნის ერთბაშად გარდაქმნას. გორკის უძნელდებოდა გაგება იმ კატეგორიების, მაგრამ ბუნდოვან სიტყვებისა, რომლებიც ეუბნებოდნენ ახალი ნაცნობები. გორკი სცდილობდა ჩაჰკვირვებოდა სიტყვების აზრს, სცდილობდა გაეგო მათი სიღრმე, მაგრამ ამაოდ. დატანჯული და მწარე ფიქრებით მოცული ბრუნდებოდა გორკი [illegible]. წარმოიდგინეთ გორკის სულის მდგომარეობა იმ ხანაში და თქვენთვის ცხადი იქმნება, თუ რად ისროლა შუბლში ტყვია ცხრამეტი წლის ყმაწვილმა კაცმა. საბედნიეროდ, ტყვია ასცდა და გორკი გამოჯანსაღდა, როგორც თვითონ ამბობს, გამოცოცხლდა იმიტომ, რომ ვაშლებით ვაჭრობა დაეწყო.

მაგრამ განა შეეძლო დამცხრალიყო, დაწყნარებულიყო გაღვიძებული გონება გორკისა? განა შეიძლებოდა დაეკმაყოფილებინა ვაშლების ვაჭრობას ის ადამიანი, რომელიც ფიქრობდა „კაცობრიობის ბედზე. ოცნებობდა სოციალურ წესწყობილების შეცვლაზე, პოლიტიკურ რეფორმაზე, კითხულობდა სხვა და სხვა ქუჩურ-ბრძენ წიგნებს“? განა დაეტეოდა ვაშლების მოვაჭრის ფარგალში ის კაცი, რომელსაც სწამდა, რომ „იგი ცხოვრებისათვის საჭიროა და შეუძლიან ითამაშოს დიდი ისტორიული როლი“?

ინტელიგენციამ არ დააკმაყოფილა გორკი. იმან დაინახა, რომ იმისი ადგილი ინტელიგენტების შორის არ არის, რომ მტანჯველ საკითხების პასუხი სხვაგან უნდა ეძიოს. გორკიმ გადასწყვიტა ფეხით მოევლო რუსეთი, გაეგო, ვინ სცხოვრობს ბედნიერად და შვებით, რამაა სიცოცხლის აზრი.

გაიარა ვოლგის ნაპირები, მივიდა ყუბანამდის, იყო კავკასიაშიც, შემოიარა შავი ზღვის ნაპირები. იყო რკინის გზის დარაჯადაც, ბურლაკადაც, გემების დამცლელადაც, დღიურ მუშადაც ნავთ-სადგურებში, ერთის სიტყვით იგემა სამწარე უსახლ-კარო, ლუკმა-პურზე მუდამ მზრუნველი ცხოვრება. მწირის ცხოვრებამ მოსტეხა გორკის [illegible] ძალ-ღონე, მაგრამ სანაცვლოდ შესძინა მდიდარი პოეტური მასალა შემოქმედებისათვის. ათასგვარი ადამიანი, სხვა და სხვა წოდებისა და ხასიათისა, სხვა და სხვანაირი სურათები ბუნებისა,—აი ნაყოფი ხანგრძლივის მაწანწალობისა.

ნაკვთები ირეოდა გორკის თავში, ლოდად აწვებოდა ტვინს და იწევდა ქაღალდისაკენ, და გორკიმაც სცადა ბედ-იღბალი. 1892 წელს დაიბეჭდა პირველი მისი მოთხრობა. გორკი შეამჩნიეს. ცნობილმა მწერალმა კოროლენკომ გულითადი მონაწილეობა მიიღო ახალ ნიჭის ბედში, და გორკიმ დაიწყო ფურჩქვნა, აყვავება. გორკი მადლობით იგონებს კოროლენკოსთან შეხვედრას, რომელმაც, იქმნება, შეუნახა რუსულ ლიტერატურას დიდი პოეტური ძალა. „ჩასწერეთ, ეუბნებოდა გორკი თავის ბიოგრაფს, ჩასწერეთ: გორკის პირველი მასწავლებელი იყო სალდათი-მზარეული სმური, მეორე—ადვოკატი ლანინი, მესამე—ალექსანდრე კალიუჟნი, კაცი საზოგადოების გარეშე მყოფი, მეოთხე—კოროლენკო“.

1898 წელს გამოვიდა პირველი ტომი გორკის მოთხრობებისა. გორკის სახელ უმალ გაითქვა. გათავდა მისთვის მაწანწალის ცხოვრება. დამშვიდებულმა პოეტმა დაიწყო გამოცდილებათა აღსავსე ცხოვრების ანგარიშის შედგენა: მოთხრობა საკვირველ შემთხვევათა თანამედროვე ოდისსეისა.

აი ცოტაოდენი ცნობები, რომელიც გვაქვს გორკის გარეგან ცხოვრებაზედ. საკმაო არ არის გორკის ნაწარმოებთა შესაცნობლად, მაგრამ ჯერჯერობით უნდა დავკმაყოფილდეთ.

(შემდეგი იქნება)

შ. ჩიტაძე.

მომატებული წარსულ 1904 წლისაზე— 14 352.000 მანეთით; საგარეო შემოსავალი— 462.003.000 მანეთი, მეტი 178.594.000 მანეთით ჩვეულებრივი ხარჯი იყო: 921.580.000 მანეთი—26.780.000 მანეთით ნაკლები და საგანგებო—562.404.000 მანეთი, 400.696.000 მანეთით მეტი.

პეტერბურგი, 17 სექტემბერი. გრაფ სოლსკის საბჭოში, მინისტრთა კაბინეტის საკითხის განხილვის დროს უმაღლესად დანიშნულ წევრთ გარდა, მონაწილეობას მიიღებენ მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ვიტტე, მინისტრები, სახელმწიფო საბჭოს წევრი საბუროვი და ამავე საბჭოს სხვა წევრები.

პეტერბურგი, 17 სექტემბერი. „რუს"-ის სიტყვით, საერთო განათლების სამინისტრო ფიქრობს გააუქმოს სექტემბრიდან სახელმწიფო ეგზამენები უნივერსიტეტებში.

ლონდონი, 17 სექტემბერი. ბომბეის გაზეთი „ობსერვერ"-ი ამბობს, რომ ინგლის-იაპონიის კავშირმა ინდოეთის მცხოვრებლებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. იაპონიის გამარჯვებამ პირველად ბუნდოვანი იმედები გამოიწვია განათლებულ ელემენტებში, მაგრამ მცხოვრებთა უფრო თვალსაჩინო ნაწილი დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონიამ საპატიო ალაგი დაიჭირა მშვიდობიან სახელმწიფოთა შორის. ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობის დადების შესახებ მომეტებული ნაწილი იმ აზრისაა, რომ ინგლისი ვერ შეიძლებს დაიცვას თავისი საკუთრება ინდოეთში სხვის დაუხმარებლად.

ბაქო, 17 სექტემბერი. საქმე ხელახლა უკან უკან მიდის. გუშინ დაიჭირა ერთი სომეხი, დღეს საავადმყოფოში მოიყვანეს ორი დაჭრილი თათარი.

ოდესა, 17 სექტემბერი. საუნივერსიტეტო კომისიამ შეიმუშავა უნივერსიტეტის რეფორმების პროგრამა, რომლითაც დაითხოვნილ პროფესორებსა და სტუდენტებს დაბრუნების ნება ეძლევათ. ამორჩეულ იქმნა პროფესორთა დეპუტაცია შესაფერ შუამდგომლობის დასაცველად პეტერბურგში. უნდა შესდგეს სამსახურის უფროსთა საზოგადო კრება რკინის გზების გასაუცვსად; კრებამ უნდა განიხილოს საკითხი რკინის გზების დაცვისა ზვავებისაგან, ხიდების გამაგრების, შპალების განახლებისა და მოსამსახურეთა სადისციპლინო წესდების შესახებ.

18 სექტემბერი

ყაზანი. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა სტუდენტების კრებისა და კავშირების თავისუფლება, უნივერსიტეტიდან გამოგდებულების მიღება, ინსპექციის გადაკეთება და უნივერსიტეტში სემინარისტებისა, რეალისტებისა და ქალების მიღება. მეცადინეობა 27 სექტემბრიდან დაიწყება.

მოსკოვი, 17 სექტემბერი. დღეს ერობათა და ქალაქების მოღვაწეთა სიეზდის ბიურომ დაასრულა რედაქცია მცხოვრებთადმი მისამართ მოწოდებისა. გენერალმა შენიავსკიმ განაცხადა ქალაქის სამმართველოში, რომ იყიდის სახლს სწორაგს არბატზე, რომელიც ნახევარი მილიონი მანეთი ღირს, რათა ამ სახლში გაიმართოს სახალხო უნივერსიტეტი, სადაც წაიკითხავენ ლექციებს დღისით ყოველგვარ დარგიდან ორივე სქესის პირთათვის. უნივერსიტეტის მმართველად იქნება საბჭო, რომელსაც აირჩევს ერთის მხრით ქალაქი, მეორეს მხრით შემწირველნი.

პეტერბურგი. უმაღლესი რესკრიპტი უმაღლეს სასწავლებლებისთვის ავტონომიის მინიჭების შესახებ გაგზავნილ იქნა ფინანსთა, შინაგან საქმეთა, გზათა, სახალხო განათლებისა და სამიწათ-მოქმედო სამინისტროების უმაღლეს სასწავლებლებზე, გარდა პეტერბურგისა, ნეჟინისა და ლაზარევის ისტორიკო-ფილოლოგიურ ინსტიტუტებისა, ცესარევიჩ ნიკოლოზის ლიცეისა მოსკოვში და აღმოსავლეთის ინსტიტუტისა.

პეტერბურგი. დილით, ტრამვაიზე რამდენიმე ტყვიით მოჰკლეს ცნობილი მრეწველი, მანუფაქტურ-სოვეტნიკი კუნიცერი. მსროლელნი დაიჭირეს. ფინანსთა სამინისტრომ სასამძიმრო დეპეშა გაუგზავნა ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტს, სადაც კუნიცერი თავმჯდომარეობდა, და გუბერნატორს მისის ოჯახისთვის გარდასაცემად.

ბათუმი, 18 სექტემბერი. ნავთის ქალაქის რაიონში ალყა შემოარტყა პოლიციამ რამდენიმე ქარხანას და აღმოაჩინა ერთ ალაგას ბევრი თოფი და საბრძოლველი იარაღი.

ეკატერინოსლავი. ნაფიც მსაჯულთა თავმჯდომარეს გადასცეს განცხადება და სთხოვეს გაუგზავნონ იუსტიციის მინისტრს, რომ მათ განაჩენის დროს ბევრი დაბრკოლება ნახეს, რადგანაც წინასწარი გამოძიება ვერ იყო კარგად წაყვანილი და უფრო მეტი მნიშვნელობა პოლიციის გამოძიებას ეძლეოდა. განცხადება თავდება სიტყვებით, რომ მართლ-მსაჯულება შეუძლებელია, თუ უზრუნველ-ყოფილი არ იქმნება ბრალდებულთა მოქალაქეობრივი უფლებანი წინასწარ გამოძიების დროს.

ლიბავა. ექვს ხმოსან-ებრაელიდან, რომელნიც მთავრობამ დანიშნა ლიბავის ქალაქის საბჭოში, 4-მა უარი განაცხადა ხმოსნობაზე და საბუთად ის მოიყვანეს, რომ მათ არ შეუძლიათ ატარონ ეს სახელი, რადგან ქალაქის მცხოვრებლებს არ აურჩევიათ.

19 სექტემბერი

მინსკი, 18 სექტემბერი. ღამით, შუაგულ ქალაქში კრეჩეწის ქუჩაზე მოჰკლეს მემამულე ქალი ვანკოვიჩი და მისი ეკონომკა. პირველი დაახრჩეს, ხოლო მეორე აჰკრეს. მკვლელნი ფულებს ეძებდნენ.

მოსკოვი, 18 სექტემბერი. დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულის კომიტეტის რწმუნებული მიდის მანჯურიიდან იაპონიაში მთელის თავის ამალით და დანარჩენ ნივთებით დატვირთული მეომარ რუსთა შემწეობის აღმოსაჩენად.

სავაჭრო საბჭომ აფიცერთა და ჯარის კაცთა შემწეობისათვის გარდასცა 78,000 მანეთი.

ტოკიო, 18 სექტემბერი. ღამის პირველ საათზე ცეცხლი გაუჩნდა სამხედრო საწყობს. ცეცხლმა გაანადგურა 20 დროებითი შენობა. საწყობში შენახული სამხედრო მორთულობა ცეცხლის გაჩენამდი გაუტანიათ.

ვარშავა, 18 სექტემბერი. ქალაქის განაპირა ნაწილში „ვოლიაში", 1830 წლის ომის სახსოვრად აგებულ ძეგლს ესროლეს ყუმბარა. ძეგლის ქვემო ნაწილი დაზიანებულია.

ტოკიო 18 სექტემბერი. ზემო მოყვანილ დეპეშაში მოხსენებულ 20 შენობის გადაწვის გარდა ხიროშიმაში დაიწვა შვიდი შენობა ფურაჟის საწყობებით. ფიქრობენ, რომ ცეცხლი განზრახ წაუკიდებიათ. თითქმის არაფერი არ გადარჩენილა. ზარალს ანგარიშობენ ნ-დან 10 მილიონ იენამდი.

შანხაი, 18 სექტემბერი. გუშინ დილით შანდუნის ნახევარ კუნძულთან წასწვდა წყალში მცურავ ნაღმს გემი „ხეიუნი", რომელიც ხუთმეტ წამის განმავლობაში ჩაიძირა.

ირკუტსკი, 19 სექტემბერი. ზაბაიკალის რკინის გზას დაუწყებია გაიშინჯოს შორეულ აღმოსავლეთიდან მომავალი მგზავრები და ჯარის კაცნი ექიმთა დაუსწრებლად. ირკუტსკის ექიმთა კომისიას დაუდგენია გამოიწერონ შრატი შავი ჭირის ასაცრელად. დამოუნა შუამდგომლობს მოისპოს შორეულ აღმოსავლეთიდან ამანათთა გადმოტანა.

პეტერბურგი, 18 სექტემბერი. სახელობითი უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატისადმი. „ჩვენს სტატს-სეკრეტარს, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკს სერგეი ვიტტეს, ტახტისა და მამულის სამსახურის გაწევისთვის და ჩვენ მიერ დავალებულ მინდობილობის ჩინებულად აღსრულებისათვის და ამასთანავე ნიშნად ჩვენის განსაკუთრებითი წყალობისა უწყალოდესად ვუბოძებთ რუსეთის იმპერიის გრაფობის ღირსებას".

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

17 სექტემბერი

პეტერბურგი. ვიტტეს ებოძა გრაფის ტიტული.

გაზეთების ცნობით მე-76-ე საარტილერიო ბრიგადას ებრძანა 17 სექტემბერს, მივიდეს რიგაში და იქ დაბინავდეს მთავრობის ბრძანებისამებრ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სრულდება შემუშავება იმ პროექტისა, რომელიც ებრაელების საცხოვრებელ ადგილების ფარგლის გაფართოებას შეეხება. განზრახულია, ებრაელებს ნება მისცენ ერთ-ერთ სატახტო ქალაქში ცხოვრებისა.

ვარშავა. კობეკოს კომისიაში მოწვეულია რედაქტორი გაზეთ „ჰაცეფირა"-სი სოკოლოვი. ეს გაზეთი გამოდის ძველ ებრაულ ენაზე. სოკოლოვი მიიღებს მონაწილეობას კომისიის იმ სხდომებზე, რომელნიც არის რუსთა პრესის საქმეს შეეხება.

ბერლინი. სრულებით არაა სწორი ის ხმა, ვითომც დანიის 2 ნავთსადგური პირველ ხარისხოვან სიმაგრედ უნდა გადააკეთონ. ეს ხმები გამოიწვია სამხედრო უწყების მიერ აღძრულმა მოლაპარაკებამ ვისლის შესართავთან მიწების სყიდვის შესახებ.

პრუსიაში სულ ხოლერით ავად გამხდარა 16 სექტემბრამდე 255 სული. ამათში 87 შემთხვევა სიკვდილით დაბოლოვებულა.

ბელოსტოკი. არსდება ებრაელების კომისია ებრაელების ინტერესების დასაცველად სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების დროს.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობით, შინაგან საქმეთა მინისტრს სოლსკის კომისიაში შეუტანია პროექტი დროებით წესებისა ბეჭდვითი სიტყვის ცენზურიან ორგანოებისა და აგრეთვე სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების წარმოების დროს საარჩევნო საკითხებზე თავისუფალი სჯა-ბაასის შესახებ. პროვინციალურ ცენზურის გამგეობას ჩამოერთმევა სტატიები და მოსაზრებანი, შესახებ როგორც არჩევნების წარმოებისა, ისე კანდიდატურის ცალკე ამომრჩევლებისა. სახელმწიფო სათათბიროში დამატებითის საკანონმდებლო წესებს 19 სექტემბერს გამოაცხადებენ, 20 სექტემბერს განიხილავენ საარჩევნო წესებს შესახებ კავკასიისა, თურქესტანისა და სტეპნოი საგენერალ-გუბერნატოროსი და ამის შემდეგ საგანგებო თათბირი შეუდგება ყველაზე საყურადღებო საკითხის გარჩევას შესახებ მინისტრთა კომიტეტისა ან საბჭოს დაარსებისა.

„ნოვოსტი" იუწყება, განზრახულია გადააკეთონ მინისტრთა საბჭო ისეთ დაწესებულებად, რომელიც მუდმივ მოქმედებაში იქნება. ამ დაწესებულების წევრებად მინისტრებს გარდა იქნებიან სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების თავმჯდომარეები. ამ დაწესებულების გამგეობაში იქნება ყველა ის საკითხები, რომელნიც შეეხებიან მთავრობის მოქმედების შეერთებას და რომელთა გარდაწყვეტა მინისტრების უფლებას აჭარბებს. განზრახულია თვითეულ მინისტრის უმაღლეს სახელზე პირადი მოხსენების მაგიერ შემდეგში იქნეს კოლეგიალური მოხსენება, საბჭოს სახელით. იგივე საბჭო განიხილავს უმაღლეს სახელზე მოსულ მოსაზრებებს კერძო პირებისა და დაწესებულებების შესახებ სახელმწიფოს საქმეების მოწყობისა. განზრახულია აგრეთვე საბჭოსთან დაარსდეს განსაკუთრებული [illegible], რომელშიაც განიხილება ისეთი საქმეები, რომელნიც მინისტრების განკარგულებით კეთდება, ისე, რომ უმაღლესად არ უნდა იქნას წარდგენილი.

იმავე გაზეთში დასტამბულია, რომ მთ ჯრჯგო ეკონომიის დეპარტამენტის გამგედ შნებათ, მაშინ როდესაც „რუს"-ის სიტყვით ადგილს ვიტტეს აძლევენ.

პარიზი. მაროკოს კონფერენციის გასამ თავად აირჩიეს ალჟეზირასი. საბერძნეთ-რუმინიის კონფლიქტი რთულდება.

რომი. მაცერატში მიწის ძვრა იყო. ზა ლი არ მოსულა.

მოსკოვი. სამხედრო სასამართლოების ნაჩენმა უკანასკნელ დროს მთელს იურისტების ყურადღება მიიქციეს და ამ სა თხის გადაწყვეტას შესწავლის მოსკოვის ნათიც ვექილთა კრება მომავალ საზოგ სხდომას.

კიევი, 18 სექტემბერი. გამოცხადდა სა ლდებულო დადგენილება კიევის გენერალ-გუბერნატორისა, რომლითაც აკრძალულია სასრო იარაღისა, წვეტიან ჯოხებისა, ხანჯლისა, კა ტეტებისა, ფინურ დანებისა, შურდულისა სხვა ამგვართა ტარება. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, დაპატიმრებულ იქმნება სამის თვით ან 500 მანეთს გადაიხდის ჯარიმად.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 18 სექტემბერი. გამოიცა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც იკრძალება ყოველგვარი კრებები პოლიციის ნებადაურთველად. აკრძალულია საზოგადო წესრიგის საწინააღმდეგო კრება, იარაღის ტარება, ამაღელვებელ ცრუ ხმების გავრცელება. დამნაშავენი ადმინისტრატიულის წესით დაპატიმრებულ იქმნებიან სამს თვემდე, ან 500 მან. ჯარიმას გადაიხდიან.

ლონდონი, 18 სექტემბერი. „ობსერვერ"-ი იუწყება, რომ ინგლისის საადმირალოთ გადასწყვიტა დიდ საზღვაო ბაზათა და პირველ ხარისხოვან სიმაგრეთ გაჰხადოს დუვრი, სადაც შესაძლებელი იქმნება დადგეს 30 სამხედრო გემი, და კონტრ-ნაღმოსნისათვის განსაკუთრებითი რეიდათ. სხვა საზღვაო ბაზები გაიმართება გიბრალტარსა, სინგაპურსა, ვეი-ხაი-ვეის ნავსადგ. ტრინკომალესა, გალიფაქსსა და ესკიმოში.

პეტერბურგი. როგორც გაზეთები გვაუწყებენ, ეკონომიის დეპარტამენტის თავმჯდომარედ ნიშნავენ ტერნერსა და იგამშენკოს.

საერთო განათლების მინისტრმა გამოუცხადა რექტორ ბორგმანს, რომ ახალი საუნივერსიტეტო წესდების პროექტი გაეგზავნება უნივერსიტეტებს განსახილველად ოქტომბრის შეკრებებში.

განზრახვაა ციმბირის გზის მეორე ლიანდაგის გაყვანის თაობაზე.

„რუს"-ი განმეორებით გვაუწყებს, რომ განზრახულ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება ვიტტე, შინაგან საქმეთა მინისტრ რომანოვი და ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი სახელმწიფო საბჭოს წევრად.

კოპენჰაგენი, 18 სექტემბერი. აქ იმედი აქვთ, რომ ორი ან სამი დიდი გემი რუსეთისთვის გაკეთდება დანიის ვერფებში, სად წინათაც აუგიათ რუსეთისთვის გემები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადა

სამოსადგმო ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 16 სექტემბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	93.85
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90
პარიზისაზე 100 ფრანკში	87,87½
ლონდონისაზე ჩეკები	94,60
ბერლინისაზე "	46,30
პარიზისაზე "	37 60—57½
ბირჟის დისკონტი	5¼—7%
4% სახელმწიფო რენტა	89⅛
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	84,85
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	459
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	352
5% გირ. მომ. ფურც. საბ. ს.-მამ. ბან.	286¼
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	90⅜
5½% ობლიგ. [illegible] საზოგადოებისა	—
5% -ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	83⅝
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	86
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ამქ.ია.	194

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

[illegible] და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. გზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

[illegible]-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუაღამის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.)

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს (8 ს. 20 წ.).

შორაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის მოწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნ. [illegible] სახლში. ტელეფონი № 413. (წ.)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობაში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა სურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. [illegible]. (25—25)

Состоящіе въ вѣдѣніи министерства финансовъ

БУХГАЛТЕРСКІЕ КУРСЫ

Н. В. Абраамяна, въ Тифлисѣ,

автора „Руководства торговой, фабричной и нефтепромышленной бухгалтерій", учатъ и подготовляютъ лицъ обоего пола въ 4 мѣсяца, путемъ практики бухгалтеріи и др. коммерч. специальн. предметамъ.

Преподавателями на курсахъ приглашены лица съ университетскимъ образованіемъ и специалисты своего дѣла, утвержденные учебнымъ отдѣломъ министерства финансовъ, а также по каллиграфіи каллиграфъ-художникъ.

Пріемъ съ 5 до 7 ч. вечера. Начало занятій съ 15-го сентября 1905 г. ежедневно по послѣ обѣдамъ, съ платою по 60 р. за полный курсъ· По окончаніи выдается установленный аттестатъ, разрѣшенный г. министромъ финансовъ.

Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые пополнительные и повторительные курсы рускаго языка и ариѳметики. Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: Николаевская, 46, Телефонъ 747 Правила и программы высылаются безплатно. (10—6.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისთვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვებს.

„С.-Петербургъ"

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდად ვაჭრობას აწარმოებენ სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი"

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს,